წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საბჭოს ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—27, სამდივნოსი—10—56, მთ. კანტორის—8—21.

შაბათი
23
სექტემბერი
1933 წ.
№ 220 (3776)

# სატყეო მრეწველობის ქარხნების მიერ გეგმების შესრულების შესახებ

## საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

აღინიშნოს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 25 აგვისტოს დადგენილების მიუხედავად, სატყეო სამრეწველო მეურნეობათა და ხე-ტყის ქარხნების მუშაობაში ჯეროვანი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. იმის გამო, რომ დირექცია, აგრეთვე ქარხნების პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები არ აწარმოებენ ორგანიზებულ ბრძოლას მუშა-ხელით და ნედლეულით ქარხნის დროულად უზრუნველყოფისათვის,—მთელი რიგი ქარხნები სამარცხვინოდ ჩამორჩენილია.

მთელ რიგ რაიონებში პარტორგანიზაციები უშუალოდ ჯერ არ შესდგომიან სატყეო მრეწველობის პროგრამის შესრულების საქმეს და არ უწევენ რეალურ დახმარებას ხე-ტყის ქარხნებს და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს საჭაპანო ტრანსპორტის და მუშა-ხელის შეგროვების ორგანიზაციაში.

დაუყოვნებლივი გარდატეხის მიღწევის და სატყეო მრეწველობის ხაზით პარტიის და მთავრობის მიერ მოცემულ გეგმების დროულად შესრულების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ადგენს:

### I. მცხეთის ქარხანა:

აღინიშნოს, რომ მცხეთის ქარხანა ცუდად მუშაობს (ქარხნის წლიური გეგმა 8 თვის და სექტემბრის პირველ დეკადის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 31,4 პროცენტით). ვინაიდან ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი ქარხნის მუშაობას არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევდა.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს, ამხ პ. **მელაძის** პირადი პასუხისმგებლობით, ისე მოაწყოს ქარხნის მუშაობა და ქარხნისათვის ნედლეულის მიწოდება, რომ წლიური გეგმის მიხედვით დარჩენილი ხე-ტყის მასალის რაოდენობა მთლიანად იქნას ჩაბარებული მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის.

2. ამხ. **მელაძემ, წულუკიძემ და პრეობრაჟენსკიმ** ერთი დღის ვადაში შეადგინონ პროდუქციის ჩაბარების დეკადური გეგმა.

3. დაევალოს პარტიის ტფილისის კომიტეტს, ქარხნის მუშა-ხელის მხრივ შეფერხების ლიკვიდაციისათვის 3 დღის ვადაში გაგზავნოს ქარხანაში 150 აქტივისტი-პარტიელები და კომკავშირელები (მათ შორის უჯრედთა ბიუროების წევრები, უჯრედთა მდივნები და სხ.) და, მუშა-ხელის სიმცირის თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის იყოლიოს რეზერვში 30—40 კაცი.

4. დაევალოთ საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს და ქარხნის დირექციას გადაიყვანონ ქარხანა ორცვლიან მუშაობაზე.

5. წინადადება მიეცეს საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს ერთი დღის ვადაში გაგზავნოს მცხეთის ქარხანაში სამუშაოდ პარტიული უჯრედის მდივნად მაგარი შემოწმებული მუშაკი და მისი კანდიდატურა შეათანხმოს საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ.-ის ორგანიზაციულ-საინსტრუქტორო განყოფილებასთან.

6. დაევალოს თელავის, გურჯაანის და ტფილისის რაიონულ პარტორგანიზაციებს მოაგვარონ მცხეთის ქარხნისათვის ნედლეულის შეუფერხებელი მიზიდვა და მიწოდება.

საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **მელაძემ** უშუალო მეთვალყურეობა გაუწიოს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ამ დადგენილების შესრულებას და უზრუნველყოს ქარხანა ხე-ტყის ნედლეულის ორი კვირის შეუმცირებელი მარაგით.

დაევალოს ამიერ-კავკასიის რკინის გზას (ამხ. **როზენცვეიგს**) უზრუნველყოს ვაგონების აუცილებელი რაოდენობის მიწოდება ქარხანაში ნედლეულის დროულად მისაწოდებლად და ქარხნიდან მზა პროდუქციის გასატანად. ამხ. **როზენცვეიგმა** 2 დღის ვადაში წარუდგინოს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს თავისი წინადადებანი ამ საკითხის გამო.

7. ქარხანაზე საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისაგან მიმაგრებულ ამხ. **ჟოჟიკაშვილის და მდივნის** განცხადების გამო იმის შესახებ, რომ მცხეთის ქარხნის დირექტორი ამხ. **პრეობრაჟენსკი** არ იჩენს საკმაო ინიციატივას და ენერგიას მუშაობაში, მაშინ როცა ქარხანა დიდათაა ჩამორჩენილი,—წინადადება მიეცეს ამხ. **პრეობრაჟენსკის** დაუყოვნებლივ გარდაქმნას თავისი მუშაობა და უზრუნველყოს გეგმის შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ მიღებულ იქნას პარტსასჯელის გადამწყვეტი ზომები.

### II. ჭურის-ხევის ქარხანა

აღინიშნოს ქარხნის სამარცხვინო ჩამორჩენა გეგმის შესრულებაში (წლიური გეგმა 8 თვის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 8 პროცენტით).

1. აღინიშნოს, რომ სამხრეთ-ოსეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ იბრძვიან ჭურისხევის ქარხნის მიერ გეგმის შესრულებისათვის, რისთვისაც გამოეცხადოს საყვედური პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს.

2. მიმაგრებულ იქნას ჭურისხევის ქარხანაზე სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ვ. **ჯატიევი** და დაევალოს მას უზრუნველყოს ქარხნის მიერ წლიური გეგმის უსათუოდ შესრულება.

3. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს და, პირადად, ამხ. ვ. ჯატიევს უზრუნველყოს სამცვლიანი მუშაობა ქარხანაში და ნედლეულით ქარხნის შეუფერხებელი მომარაგება, აგრეთვე მოიყვანოს ლიკვიდურ მდგომარეობაში და დაუყოვნებლივ ჩააბაროს ქარხნის მთელი წლიური პროდუქცია.

4. საქართველოს კ.პ. (ბ) სტალინის რაიკომმა—ამხ. **კალმახელიძემ** უზრუნველყოს რაიონის მონაწილეობა ჭურისხევის როგორც ქარხნიდან მზა პროდუქციის გაზიდვაში, ისე ქარხნისათვის გადასამუშავებლად ნედლეულის მიწოდებაში.

5. ამხ. ჟორჟიკაშვილი 6—7 დღით გაემგზავროს სამხრეთ ოსეთში და მოაწყოს მუშაობა ქარხნის მიერ მისთვის მიცემული გეგმის შესასრულებლად, აგრეთვე დააზუსტოს დავალებანი ამ საქმეში სტალინის რაიონის მონაწილეობის მხრივ. გაიგზავნოს სამხრეთ ოსეთში საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის მდივანი ამხ. **სერგო მეგრელიშვილი** და დაევალოს მას ადგილობრივ შეამოწმოს, თუ როგორ იბრძვის ადგილობრივი პარტორგანიზაცია სატყეო მრეწველობის გეგმის შესრულებისათვის.

### III. ჯალავეთის ქარხანა

1. აღინიშნოს, რომ ქარხნის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 47 პროცენტით.

2. დაევალოს პარტიის ქიათურის რაიონულ კომიტეტს, ამხ. **ლიბერთან ერთად** (ა.კ. რკინის გზის სატყეო განყოფილების უფროსი), დასახოს ღონისძიებანი ქარხნიდან მზა პროდუქციის დროულად გამოზიდვისათვის. ამხ. ლიბერი დაუყოვნებლივ გაემგზავროს ქიათურაში.

3. მიღებული იქნას ცნობად ამხ. ლიბერის განცხადება იმის შესახებ, რომ ქარხნის წლიური გეგმა ვადაზე იქნება შესრულებული.

4. მიეთითოს ა.-კ. რკინის გზას სამარცხვინო ჩამორჩენაზე მზა პროდუქციის გამოსაზიდად ჯალავეთის ქარხნისათვის ვაგონების მიწოდების საქმეში.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. როზენცვეიგის განცხადება იმის შესახებ, რომ ქარხნის მზა პროდუქცია დროულად იქნება გამოზიდული.

### IV. ზუგდიდის ქარხანა

1. აღინიშნოს, რომ ქარხანა უმსგავსოდ ჩამორჩენილია (წლიური გეგმა 8 თვის და სექტემბრის პირველი დეკადის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით). ცნობილ იქნას, რომ ქარხნის ასეთი მდგომარეობა წარმოადგენს როგორც ქარხნის დირექციის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის, ისე პარტიის რაიონული კომიტეტის მხრით არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგს.

2. ქარხნის მიერ პროგრამის შესრულების უზრუნველყოფისა და პირველი ოქტომბრიდან ორცვლიან მუშაობაზე მისი გადაყვანის მიზნით, დაეკისროს ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხ. **გვასალიას** და სამ.-სატრაქტორო პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. **შონიაძეს**, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, არა უგვიანეს 26 სექტემბრისა უზრუნველყონ ქარხნისათვის 200 მუშის შეგროვება; დაეკისროს აგრეთვე ჩხოროწყუს რაიკომის მდივანს ამხ. **ცაგურიას** უზრუნველყოს 100 მუშის შეგროვება და გალის რაიკომის მდივანს ამხ. **ადამიას**—50 მუშის შეგროვება.

3. წინადადება მიეცეს საქტყეტრესტს, ტყის მეურნ. სკოლა გადიტანოს ზუგდიდის ქარხანაში და ახალი 40 მოწაფე შეაგროვოს ზუგდიდის, ჩხოროწყუს და ხობის რაიონებში.

4. ენგურზე ხე-ტყის დროულად ჩამოცურების უზრუნველყოფის მიზნით, დაეკისროს ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხ. **გვასალიას** და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **როგავას**, მოახდინონ ტივებისათვის 50 წყვილი კამეჩის მობილიზაცია და შეაგროვონ 60 მეტივე მუშა.

5. დაევალოთ წალენჯიხის რაიკომს—ამხ. **კუციასა** და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **ბასილაიას** უზრუნველყონ 5 დღის ვადაში 60 წყვილი კამეჩის და 50 წყვილი ხარის მობილიზაცია, აგრეთვე შეგროვება 200 მეტივე-მუშისა და 300 მუშისა ტივების ჩამოსაცურებლად.

6. დაევალოთ გალის რაიკომს — ამხ. **ადამიას** და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **ჩიტაიას** უზრუნველყონ არა უგვიანეს 26 სექტემბრისა მობილიზაცია ჩამოცურების დამთავრებამდე დრომდის 50 წყვილი კამეჩისა.

7. გაფრთხილებულ იქნენ ხსენებული ამხანაგები, რომ ქარხანაში მუშების გადასროლის შეუსრულებლობა და ქარხნისათვის საჭაპანო ტრანსპორტის მიუცემლობა მიჩნეულ იქნება პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისადმი წინააღმდეგობის გაწევად და ამას მოჰყვება ამ ამხანაგებზე მკაცრი პარტსასჯელის დადება.

8. დაევალოს პირადად ამხ. **ჟურლიშვილს** და რაიკომის მდივანს ამხ. **გვასალიას** ბოლო მოუღონ ზუგდიდის ქარხნის დირექტორის და დირექტორის მოადგილის (ამხ. ბირიუკოვისა და ახობაძის) შეუთანხმებელ მუშაობას, ხოლო თუ კინკლაობას კვლავ ადგილი ექნა,—დამნაშავე მოხსნან სამუშაოდან და გარიცხონ პარტიიდან.

### V. ბათომის ქარხანა

1. აღინიშნოს, რომ ბათომის ქარხანა, საქართველოს კომპ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობის წყალობით, მუშაობს დამაკმაყოფილებლად და ერთგვარი ზეგავლენა თუ მოვახდინეთ—ქარხნის მიერ წლიური გეგმის შესრულება სავსებით უზრუნველყოფილია.

2. ვინაიდან ადგილი აქვს გარღვევას სხვა ქარხნებშიაც, დაისვას საკითხი აჭარისტანის საოლქო კომიტეტის წინაშე, რომ საჭიროა ბათომის ქარხნის გეგმის გადიდება წლის დამლევამდე კიდევ დამატებით 25 პროცენტით.

ამხ. **წულუკიძემ და ზიკამ** აჭარისტანის საოლქო კომიტეტთან ამხ. **გეურქოვთან** ერთად ხელახლა შეადგინონ ქარხნის გეგმა დავალების 25 პროცენტით გადიდების გათვალისწინებით და დაამუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გადიდებული გეგმის შესრულებას.

### VI. ახალციხის ქარხანა.

1. აღინიშნოს ახალციხის ქარხნის კარგი მუშაობა გეგმის შესრულების მხრივ (მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია ვადამდე, ხოლო წლიური პროგრამა შესრულებულია 64 პროცენტით).

2. დაისვას საკითხი ახალციხის ორგანიზაციის წინაშე პროდუქციის გამომუშავების წლიური გეგმის 27 პროცენტით გადიდების შესახებ, დაევალოს ამხ. **წულუკიძეს და მაისურაძეს** რაიკომის მდივან **ალა სულთანოვთან** ერთად შეიტანონ სათანადო შესწორებანი ქარხნის არსებულ გეგმაში.

3. წინადადება მიეცეს რაიკომს — ამხ. ალა სულთანოვს უზრუნველყოს გადიდებული დავალების შესრულება როგორც ქარხნის წარმოების მხრივ, ისე მზა პროდუქციის თავის დროზე გამოტანის მხრივ.

### VII. ფუხარას ქარხანა.

დაევალოს ამხ. **წულუკიძეს, ზიკას და გეურქოვს** დააზუსტონ ფუხარას ქარხნის წლიური გეგმის ციფრი.

### VIII. ქუთაისის ქარხანა

დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის რაიკომს—ამხ. **ჩიხლაძეს, ამხ. ხარაბაძეს და ჯიქიას** (რიონჰესი) მოაგვარონ ტივების გაშვება რიონზე, რათა ქარხნის გეგმა შესრულებულ იქნას თავის დროზე.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. წულუკიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ქუთაისის ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულით.

### IX. საჭილაოს ქარხანა.

1. დაევალოს ამხ. **ლიბერს, მორჩილაძეს**, ქარხნის დირექტორს და რაიკომის მდივანს ამხ. **თოდუას** გადაიყვანონ ქარხანა სამცვლიან მუშაობაზე.

2. წინადადება მიეცეს საქ. კ.პ. (ბ) აბაშის რაიკომს გააძლიეროს დახმარება ქარხნისადმი, განსაკუთრებით მუშა-ხელის შეგროვების ნაწილში.

3. ამხ. **ლაქტიონოვმა** და **ლიბერმა** გადაჭრან საჭილაოს ქარხნის დაკრედიტების საკითხი.

### X. კოდორის ქარხანა

1. დაისვას პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ კოდორის ქარხნის მიერ წლიური გეგმის შესრულება საშიშ მდგომარეობაშია (წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 25 პროცენტით).

2. დაევალოს ამხ. **წულუკიძეს** გაემგზავრონ ქარხანაში და, საოლქო კომიტეტთან და ამხ. **ინალიპასა და ხივოლაპათან** ერთად, დასახოს ქარხანაში შექმნილი სამარცხვინო გარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა გეგმა..

3. დაევალოს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს უზრუნველყოს კოდორის ქარხანა მუშა-ხელით და მოაწყოს 28 სექტემბრიდან ქარხნის ორცვლიანი მუშაობა.

გაფრთხილება მიეცეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და ცაკს, რომ კოდორის ქარხნის გეგმა რაც არ უნდა დაჯდეს უნდა შესრულდეს.

### XI. მარელისის ფაბრიკა

1. გამოეცხადოს საყვედური მარელისის ფაბრიკის დირექტორს ამხ. **ბეგეშიძეს** და ხარაგოულის რაიკომის მდივანს ამხ. **ჩხეიძეს** გეგმის შესრულებაში მარელისის ფაბრიკის სამარცხვინო ჩამორჩენისათვის (გეგმა შერულებულია მხოლოდ 30 პროცენტით).

2. დაევალოთ ფაბრიკის დირექციას და პარტიის რაიკომს უზრუნველყონ მარელისის ფაბრიკა მუშებით აუცილებელი რაოდენობით და ფაბრიკაში სამუშაოების ისეთი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გეგმის მთლიანად შესრულება. ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაისმება საკითხი ფაბრიკის დირექტორის ამხ. **ბეგეშიძის** და რაიკომის მდივნის ამხ. **ჩხეიძის** პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

3. მარელისის ფაბრიკის დირექციის დასახმარებლად ერთი თვის ვადით გაიგზავნოს ამიერ-კავკასიის სახვაჭრობის დირექტორი ამხ. **ი. მამულია** და დაეკისროს მას, ფაბრიკის დირექტორთან და რაიკომის მდივანთან ერთად, პასუხისმგებლობა გეგმის შესრულებისათვის.

### XII. ფანერი და კაკლის ხის კუნძები

1. მიენდოს ა.-კ. სახკომსაბჭოს ერთი დღის ვადაში გადაუგზავნოს რესპუბლიკებს კაკლის ხის კუნძების და ფანერის ქარხნებისათვის ნედლეულის დამზადების მეოთხე კვარტალის რაიონობრივი გეგმა.

2. განისაზღვროს მთელი ნედლეულის ჩაბარების ვადა არა უგვიანეს ა. წ. პირველ დეკემბრისა, ამასთან გამოზიდვის და ჩაბარების გეგმა დაიყოს პროპორციულად თვეების და დეკადების მიხედვით.

დაევალოთ პირადად ამხ. **წულუკიძეს** და **პოჩტარიოვს** შეადგინონ ნედლეულის გამოზიდვის და ჩაბარების დეკადობრივი გეგმა თვითეული რაიონის მიხედვით და წარუდგინონ დასამტკიცებლად რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს.

3. ფანერის და კაკლის ხის კუნძების გეგმის შესრულებისათვის პერსონალურად პასუხისმგებლად ჩაითვალონ საქტყეტრესტის და აზტყეტრესტის მმართველები, სატყეო-სამრეწველოთა მეურნეობათა დირექტორები და სათანადო რაიონების რაიკომების მდივნები.

4. წინადადება მიეცეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს ამა წლის 1 ოქტომბერზე არა უგვიანეს, წარუდგინონ ა. კ. რკინის გზის დირექციას ცალკე თვითეულ სადგურში ვაგონების მოთხოვნილების დეკადობრივი გეგმა, ხოლო ა. კ. რკინის გზის დირექციამ მთლიანად უზრუნველყოს სატყეო-სამრეწველო მეურნეობანი ვაგონების აუცილებელი რაოდენობით.

### XIII. აზტყეტრესტი

1. მიექცეს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც.კ.-ის ყურადღება მაზანჩაის და კატეხომაცეხის ქარხნების მიერ გეგმის შესრულების სამარცხვინო მსვლელობაზე (8 თვის გეგმა შესრულებულია 47 პროცენტით) და იმაზე, რომ საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ა.-კ. სახკომსაბჭოს 25 აგვისტოს დადგენილების შემდეგ ქარხნების მუშაობა არ გაუმჯობესებულა.

2. მიღებულ იქნას ცნობად ამხ. **პოჩტარიოვის** (აზტყეტრესტის მმართველის )განცხადება, რომ აზტყეტრესტის ქარხნებმა მიიღეს კუთვნილი ფინანსიური დახმარება. აღინიშნოს, რომ საჭაპანო ტრანსპორტის შესაძენად გაღებული სახსრები ქარხნებს არ გამოუყენებიათ და რომ ბელოკანის პარტორგანიზაცია ქარხანას საჭირო დახმარებას არ უწევს.

3. დაევალოს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ.-ს და აზსახკომსაბჭოს დაუყოვნებლივ მოაქციონ თავის მეთვალყურეობის ქვეშ ამ ქარხნების მუშაობა და უზრუნველყონ მათ მიერ წლიური გეგმის უთუოდ შესრულება.

4. 28 სექტემბრიდან გადაყვანილი იქნან მაზანჩაის და კატეხომაცეხის ქარხნები ორცვლიან მუშაობაზე.

5. აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინოს ბიუროს სხდომაზე ქარხნების მოხსენება მათ მიერ გეგმის შესასრულებლად ჩატარებულ მუშაობის შესახებ და აცნობოს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს როგორც მიღებულიზომების შესახებ, ისე ქარხნებში აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის რწმუნებულთა გვარები.

XIV. ა. კ. სამხარეო კომიტეტის 25 აგვისტოს დადგენილებით სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და ქარხნებზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა **ჟურულაშვილმა** (საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი), **ნ. კიკნაძემ** (საქტყეტრესტის მმართველი), **ხივოლაპამ** (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული), **ბოზეჯიშვილმა** (საქართველოს მუშგლეხინის სახალხო კომისრის მოადგილე), **ლიბერმა** (ა. კ. რკინის გზის სატყეო განყოფილების უფროსი), **ლ. მორჩილაძემ** (საქართველოს შრომის სახალხო კომისარი), **ნიკიტინმა** (ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარი), **ხიხაძემ** (საქართველოს პროკურორის მოადგილე), **შავერდოვმა** (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), **მდივანმა** (ტფილისის კომიტეტის ბიუროს წევრი), **ვაშაკიძემ** (საქართველოს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარი), **თაქთაქიშვილმა** (საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილე), **ზიკამ** (ა.-კ. მუშგლეხინის კოლეგიის წევრი), **მაისურაძემ** (საქართველოს საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე)—განაგრძონ მათთვის დაკისრებული მუშაობა წლიური გეგმის მთლიანად შესრულებამდე.

ქარხნების ყველა დირექტორმა, სათანადო რაიონების რაიკომების მდივნებმა და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტებისაგან ხე-ტყის ქარხნებსა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებზე მიმაგრებულებმა ყოველ დეკადობით აცნობონ სამხარეო კომიტეტს ამ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

XV. გამოყოფილ იქნან ხე-ტყის დარგში ა.-კ. სამხარეო კომიტეტის რწმუნებულად ამხ. **ამატუნი** და ა. კ. სახკომსაბჭოს რწმუნებულად ამხ. **ჯულელი**.

XVI. დაევალოს ა. კ. მუშგლეხინის შერჩევითი წესით შეამოწმონ ზოგიერთი ქარხნისა და რაიონის მუშაობა და გამოკვლევის შედეგები წარუდგინოს ა. კ. სამხარეო კომიტეტს.

XVII. იმის გამო, რომ ძანის ქარხანა ტექნიკური დეფექტების მიზეზით შეფერხებით მუშაობს, დაევალოს ამხ. **ბოზეჯიშვილს**:

ა) უახლოს ორ დეკადაში აღმოფხვრას ყველა ტექნიკური დეფექტი და უზრუნველყოს ძანის ქარხნის მუშაობა სრული სიმძლავრით;

ბ) გაადიდოს ბორჯომის ქარხნის მიერ ტკეჩის გამოშვების გეგმა.

# ნავთი და პური—აი რა უნდა გადაიზიდოს პირველ რიგში

## უზრუნველვყოთ პურის გადმოზიდვა

ჩვენ თავის დროზე ვწერდით, რომ როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზა, ისე „ზაგოტზერნო“ მოუმზადებელი შეხვდენ პურეულის გადაზიდვას. ამ მოუმზადებლობის გამო რკინის გზაზე შექმნილია მძიმე მდგომარეობა. ფოთის და ბათომის საწყობები (რკ. გზის და ნავთსადგურის) გადატვირთულია ხორბლით და პურის ფქვილით. რკინის გზა ვერ ასწრებს მათ გადაზიდვას ვაგონების სიმცირის გამო; ამ გარღვევას კიდევ უფრო აღრმავებს ის, რომ „ზაგოტზერნომ“ ვერ უზრუნველჰყო ვაგონების განტვირთვა.

10 სექტემბერს ფოთში დაუტვირთავი დარჩა 1.776, ხოლო ბათომში 1.539 ვაგონი პური. (სულ 3.315 ვაგონი). ნორმის მიხედვით გზა ყოველდღიურად უნდა ტვირთავდეს 150 ვაგონს. მაგრამ ნორმაც არ სრულდება.

შემდეგში მოსალოდნელია მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება, რადგან, როგორც არსებული ცნობებიდან ჩანს, სექტემბრის დამლევამდე ფოთით და ბათომით უნდა შემოვიდეს 3.600 ვაგონი პური. ასე რომ 10 სექტემბრისათვის დარჩენილი ნაშთით პურის ტვირთების ამ უდიდესი მასის გადაზიდვისათვის ყოველდღიურად საჭირო იქნება 325 ვაგონი.

როგორც ვხედავთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მდგომარეობა განსაკუთრებულად დაძაბულია. მუშაობის ახლანდელი ტემპები სრულიად არადამაკმაყოფილებელია. საჭიროა რკინისგზელთა ფართო მასების მთელი ყურადღების მობილიზაცია და ძალების დარაზმვა პურეულის გადაზიდვისათვის. მაგრამ ამას სატრანსპორტო ორგანიზაციებმა აქამდის ვერ მიაღწიეს.

პირიქით, ჩვენ ვიცით ფაქტები, როდესაც ზოგიერთი მუშაკი ხელოვნურად ართულებს ისედაც რთულ მდგომარეობას. მაგალითად, 20 სექტემბერს სადგ. ნავთლუღმა 50 ცალიერ ვაგონიდან პირველ რაიონს გაუგზავნა მხოლოდ 32; დანარჩენი ვაგონები კი აქა-იქ ადგილას დაქსაქსა. სადგურის უფროსი ფარცვანია გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, თუ რატომ დააკლო მან პურის გადაზიდვას 18 ვაგონი. ჩვენთვის ერთია გარკვეული; ფარცვანიამ გამოიჩინა სრული უყურადღებობა და ბიუროკრატიულად მოეკიდა ამ პასუხსაგებ საქმეს.

სადგ. ნავთლუღის და მისი უფროსის ასეთი საქციელი პირველი არ არის; მრავალია იმის მაგალითი გზაზე, როდესაც სადგურები უმიზეზოდ აჩერებენ ცალიერ ვაგონებს და არ აგზავნიან მას ფოთისა და ბათომისაკენ.

გზის პირველი რაიონი მუდამ იმას ჩივის რომ მას მეორე რაიონი ვაგონებს არ უგზავნის. ეს მართლაც რომ ასეა. ზოგი დაუდევარი და ბიუროკრატი აგენტის წყალობით ხშირად ვაგონები რაიონის სადგურებს შორის დასეირნობენ, ამ დროს კი ფოთსა და ბათომში პური ფუჭდება.

დროა ბოლო მოეღოს ამ უმსგავსოებას. მეორე რაიონის ხელმძღვანელობამ მტკიცედ უნდა მოკიდოს ხელი საბოტაჟნიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც აფერხებენ პურის გადაზიდვას.

არც ერთი თავისუფალი ვაგონი არ უნდა რჩებოდეს რაიონში, ყველა ფოთისკენ, ყველა ბათომისკენ—პურეულის გადმოსაზიდავად.

ა. ნ.

ტფილისის სადგურის დამკვრელები: პოლეშჩუკი, სადგურის უფროსის უფროსი თანაშემწე — ამხ. ჩიტაიშვილი და ოპერატორი ქალი ამხ. მათიაშვილი, მუშაობენ მატარებლების გაშვებაზე

## რკინის გზის ტრანსპორტმა უნდა იმუშაოს საათის მექანიზმივით

## ვაგონების სარემონტო ქარხანამ უნდა მოგვცეს კარგი ვაგონები საუკეთესო ბუქსებით

პარტიამ და ხელისუფლებამ თავის ისტორიული დადგენილებით „რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ“, გადასჭრეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მიმართულია რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გაჯანსაღებისაკენ. ეს არის საორთქლმავლო მეურნეობიდან სავაგონო მეურნეობის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფა.

ვინც ოდნავ მაინც გაცნობილია რკინის გზის მუშაობას მან იცის, რომ სავაგონო მეურნეობა ტრანსპორტის ძირითადი, გადამწყვეტი უბანია.

სავაგონო მეურნეობის გამოყოფა დამოუკიდებელ ერთეულად, საშუალებას იძლევა აღმოფხვრილ იქნას ის გაუპიროვნება, რომელსაც აქამდის ადგილი ჰქონდა ვაგონების მიმართ. სავაგონო მეურნეობას აქამდის წევის დარგი განაგებდა, ხოლო უკანასკნელის საზრუნავ საგანს კი გარდა ვაგონისა შეადგენდა უფრო რთული მექანიზმი — ორთქლმავალი, რომელიც მოითხოვდა და მოითხოვს მზრუნველობის და მეთვალყურეობის მაქსიმუმს, წევის დარგის ყურადღების ცენტრიც ორთქლმავლისაკენ იყო მიპყრობილი და ვაგონი მოკლებული იყო მზრუნველ თვალს.

დღეს ასე აღარ არის. ვაგონს თავის პატრონი გაუჩნდა. სავაგონო დარგი და სავაგონო დეპო მზრუნველობს ეხლა ამ დიდ საქმეს, მათ დაეკისრა ხელისუფლებამ უდიდესი მოვალეობა,— იზრუნოს და იბრძოლოს ჯანსაღი სავაგონო პარკისათვის. ვაგონების ძირითადი გამაჯანსაღებელი ამბულატორია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეხლა სავაგონო დეპო და ვაგონების შემკეთებელი პუნქტია, მაგრამ განა შეუძლია მათ სავსებით უზრუნველჰყონ ეს დიდი საქმე. მათ მიენდოთ ვაგონების გაჯანსაღების მხოლოდ ერთი მხარე მიმდინარე რემონტი და საკონვენციო შემოწმება. მეორე უმნიშვნელოვანესი საქმე,—ვაგონების კაპიტალური რემონტი,აქამდე ორთქლმავალ ვაგონების სარემონტო ქარხნების ხელშია. აქ კი ადგილი აქვს ძალთა და ხელმძღვანელობის დაქსაქსულობას.

ვაგონის კაპიტალური რემონტი მოითხოვს თავის საკუთარ მზრუნველს და ეხლა ეს საკითხიც დადებითად არის გადაწყვეტილი. ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნები გაყოფილია ორად, ჩამოყალიბებულია ორი დამოუკიდებელი სარემონტო ქარხნები ორთქლმავლებისა ცალკე და ვაგონების ცალკე.

კერძოდ ტფილისის, ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხანაც, ორად გაიყო.

ქარხნის სავაგონო საამქროს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ამას. საამქროს მუშაკთა საერთო კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ვაგონების შემკეთებელი ქარხნის გამოყოფა, და აღნიშნა, რომ **ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ვაგონების რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას და სავაგონო პარკის გაჯანსაღებას.**

კრებამ მიიღო გარკვეული ვალდებულებები, და ამოცანად დაისახა ახალ ქარხანაში წლის ბოლომდის 675 საბარგო და 190 სახალხო ვაგონის შეკეთება და 440 საბარგო ვაგონზე ავტომუხრუჭების დადგმა.

ეს ვალდებულება ახალ ქარხნის მუშაკებმა ბოლშევიკურად უნდა შეასრულონ.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღების გამახვილება ვაგონების კაპიტალურ რემონტზე. საკითხი ფართოდ უნდა დამუშავდეს საწარმოო თათბირებზე და მოეწყოს ტექნიკური წრეები, ვაგონების კაპიტალური რემონტის შესასწავლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ქარხანამ ბუქსებს. ამ ნიადაგზე მრავალია დღეს საჩივრები ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მისამართით და ეს საჩივრები უმეტეს შემთხვევაში სამართლიანია. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ქარხანა უშვებს ვაგონებს ცუდი ბუქსებით. მომავალში ბუქსებს ქარხანა განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოეკიდოს. მზეთავები საბრძოლო ამოცანად ისახავენ განახორციელონ ლოზუნგი—ბუქსების წვის არც ერთი შემთხვევა მათი მიზეზით. **ბუქსების წვის არც ერთი შემთხვევა ქარხნის მიზეზით—ასეთი უნდა იყოს სარემონტო ქარხნის მუშაკთა საბრძოლო ლოზუნგი.** თუ ეს პირობა უზრუნველყოფილი იქნა, როგორც მზეთავების, ისე ქარხნის მიერ, მაშინ ჩვენ შევძლებთ ვიამაყოთ მიღწევებით.

**არც ერთი ვაგონი შეკეთების დაბალი ხარისხით. ბუქსების წვის არც ერთი შემთხვევა ქარხნის მიზეზით,**—ასეთი ლოზუნგით უნდა წარიმართოს ტფილისის სავაგონო-სარემონტო ქარხნის მუშაობა.

მზეთავი.

## კახეთის ხაზზე უნდა დამყარდეს წესრიგი

რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების შემდეგ ბევრგან ემჩნევა. მუშაობის გარდაქმნის ცდები, ახალი წესით მუშაობის სურვილი.

კახეთის შტოზე კი ყველაფერი ძველებურად არის. ძველებურად ზოზინით დადიან მატარებლები კახეთისაკენ, ძველებურად „მთვრალი“ ბრუნდება უკან მთელი მატარებელი, დაწყებული მემანქანეებით და გათავებული ვაგონების გამყოლებით. თითქოს არაფერი მომხდარა თითქოს დადგენილება ტრანსპორტის შესახებ კახეთის შტოს არ ეხება.

სამგზავრო მატარებლები (სამი წყვილი) კახეთის შტოსათვის აშკარად არა საკმაო. მატარებლები ტფილისიდან გადიან გადატვირთული, ხალხი ჰკიდია საფეხურებზე, ვაგონებს შუა; შიგნით, ვაგონებში, ნემსის დასავარდნი ადგილი არ არის. დარბაზიდან ბაქანზე ხალხის გაშვების წინ არის აურზაური, წივილი და ლანძღვა-გინება. იგივე სურათი მეორდება ვაგონებში შესვლის წინ. ნავთლუღში კიდევ აუარებელი ხალხი ელოდება მატარებელს. ვაგონებში სიბინძურეა, უსუფთაობა. ან რა სისუფთავის დაცვა შეიძლება იქ, სადაც მგზავრები ერთმანეთს აზის თავზე; რბილ ვაგონშიც კი მგზავრები ნორმაზე მეტია.

მატარებელი ამ ხაზზე მიდის ზლაზნით, სისწრაფით, რომლითაც ასი წლის წინად დადიოდენ პირველი მატარებლები. სუსტი ორთქლმავლები ჩერდება ყოველ აღმართთან, სანამ „ძალღონეს“ მოიკრებდნენ. ამის შედეგად ნახევარი საათში გასავლელ მანძილზე საათნახევარი და ზოგჯერ ხშირად ორი უნდება, ზოგჯერ კი უფრო მეტი, ეს იმ დროს, როცა ამ ერთხაზიან გზაზე მატარებლების მოძრაობის აჩქარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტვირთზიდვის და მიმოსვლის მოწესრიგებისათვის, სათმოღებულ პურს ან სხვა საქონელს ან ნორ-

მატარებლის ბრიგადების შემადგენლობა, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს მიმოსვლის მოწესრიგებას, თითქოს განზრახ ხელს უშლის და აბრკოლებს მას. კახეთიდან დაბრუნებული მატარებლების ვაგონები გაჭედილია ბარგით—საქონლით, მოაქვთ იმდენი რამდენის შემოტანასაც ვაგონში შესძლებენ—სავსე ტომრები პურით, კარტოფილით, საზამთროებით, ღვინით სავსე გუდები, რომელთაც უმთავრესად ეზიდებიან სპეკულიანტები და გადამყიდველები, არც მატარებლის ბრიგადა და არც რკინისგზის მცველი რაზმის მუშაკები ამას ყურადღებას არ აქცევენ. როგორც კი მატარებელი ვაზიანს გამოსცილდება, ვაგონის გამოსასვლელ კარებთან ლაგდება მთა საქონელი—სავსე ტომრები, უზარმაზარი კალათები, გამყოლები ყურსაც არ იბერტყავენ, ზოგი მათგანი, სპეკულიანტებთან და გადამყიდველებთან ნაპურმარილევი, პირიქით ეხმარება მათ, როგორც კი მატარებელი მოაღწევს სემაფორთან, მემანქანეები, თითქოს შეპირებული არიანო, უკლებენ სვლას. მატარებლიდან აყრება გამზადებული ტომრები და კალათები, რომლებსაც წინასწარ ელოდება სპეკულიანტების აგენტურა—ტაჩკებით და მეკურტნე მუშებით.

რკინისგზის მცველი რაზმის მუშაკები კი ელოდებიან ნავთლუღში, რომ ვინმე სპეკულიანტი მიუტანს მათ ნამალევად წამოღებულ პურს ან სხვა საქონელს ან ნორმაზე მეტის რაოდენობით წამოღებულ ბარგს და სთხოვს დააჯარიმონ იგი საბჭოთა კანონის დარღვევისათვის.

ასეთივე ამბავი მეორდება ტფილისის სემაფორთან, სადაც გზის მარჯვენა მხარეს კახეთის მატარებლის მოლოდინში ჩამწკრივებული არიან მზიდავები და მეტაჩკეები.

იმ დროს, როცა სპეკულიანტები და გადამყიდავები ასე არხეინად გრძნობენ თავს, ჩვეულებრივი მგზავრები მოკლებული არიან რკინისგზის მუშაკთა ყურადღებას.

ჯერ ერთი, რომ მათთვის არ არის ადგილი, შემდეგ, მერე შენი ბრალი, თუ ბაქანზე დაჯექი. სადგურში საქმეა, რომ ბილეთი მიიღო. მართალია, არსებობს წესი„ რომ ბაქანზე დამჯდარ მგზავრს ბილეთი უნდა მიეცეს შემდეგ სადგურში, მაგრამ კახეთის გზაზე ეს არ არის სავალდებულო, თუ რევიზორის ან მატარებლის უფროსის მოესურვა—ხაზზე მიდის დეპეშა; „ბილეთები არ ვაყიდოთო“ და თქვენც რჩებით უბილეთოთ, თუგინდ მატარებლის ბაქანზე შესვლა მოახერხო, ჩამოივლის რევიზორი და ჯარიმაც მზად არის. ამ „შტრაფომანიას“ ზოგჯერ აშკარად არაკეთილსინდისიერი სუნი უდის და ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია არა მგზავრის ბოროტი განზრახვით, არამედ გზის მუშაკების უხეირო მუშაობით და მათ მიერ სათანადო წესების დარღვევით. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ ხაზზე რკინის გზის მოლარეებს ხშირად „ავიწყდებათ“ ხურდის დაბრუნება. სად. საგარეჯოს მოლარისათვის, მაგალითად, არსებობს ანგარიში მხოლოდ მანეთებით. ხურდა მას სისტემატიურად „არა აქვს“. უფრო მეტი ხშირად მანეთიანების დაბრუნებაც „ავიწყდება“, თუ კარგად არ შეახსენე.

დროა კახეთის რკინისგზაზე წესრიგი დამყარდეს.

მგზავრი.

## დავაჩქაროთ ამიერ-კავკ. რკინის გზების ელექტროფიკაციის სამუშაოები

ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოს ელექტროფიკაციის განყოფილება დაჩქარებული ტემპებით აწარმოებს წევის ქვესადგურების მშენებლობას გორში, კასპში და ზაჰესში.

ზაჰესში უკვე დამთავრდა ქვესადგურის შენობის აგება; აგრეთვე დამთავრდა საძირკვლის და საკაბელო არხის მშენებლობა ღია ქვესადგურზე. დარჩა კონსტრუქციების დადგმა და დაბალასტება. მთავრდება საცხოვრებელი სახლის აგება მოსამსახურე პერსონალისათვის. კასპში შეუდგენ ქვესადგურის შენობის შიგნითა სამუშაოების მოთავებას. გორში ქვესადგურის მშენებლობა ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ზაჰესში.

გორის და ზაჰესის ქვესადგურების ღია ნაწილების ხის კონსტრუქციები მზადდება გორის შპალსაჟღენთ ქარხანაში. საქართველოს ლითონტრესტი ამთავრებს ლითონის კონსტრუქციების დამზადებას კასპის ქვესადგურისათვის.

სამივე ქვესადგურის საამშენებლო ნაწილი და საცხოვრებელი სახლები მთლიანად იქნება დამთავრებული 15 ოქტომბრისათვის. ნავთლუღის ქვესადგურის ჩამორჩენილი მშენებლობა დამთავრდება მე-4 კვარტალში. ქვესადგურის მონტაჟი დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

სამონტაჟო სამუშაოების გაშლა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეასრულებენ მიმწოდებელი ქარხნები გზის სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულებებს დეტალების და მექანიზმების ვადაზე (მე-4 კვარტალში) მიწოდების შესახებ.

შეიძლება ვიწრო ადგილად გადაიქცეს სინდიყის გამმართველების და სწრაფმოქმედი ამორთველების მიწოდება, რომლებსაც პირველად ამზადებენ საბჭოთა ქარხნები, ვინაიდან გზამ დღემდე არ იცის, თუ როდის იქნება ისინი მიღებული

საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა კონტაქტების მხრივ. 15 სექტემბრისათვის დამთავრდა საყრდენების დადგმა მხოლოდ სტალინისი—გორის გადასარბენზე, დაახლოებით მესამე უბანზე. ჩამორჩენის მიზეზია—მუშაობის სუსტი ორგანიზაცია. არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული ცალკეულ საყრდენების მორგება და მათი გადატ გადმოტანა, რის გამო საყრდენების შეკრებას მუშაობის ადგილზე დიდი დრო სჭირდებოდა, ამასთან იგი ჩამორჩებოდა ქვაბულების ამოთხრას და საყრდენების აწევას. ჩამორჩენის მეორე მიზეზია—მუშა-ხელის ნაკლებობა. მუშა-ხელის შეგროვებამ ხარაგოულის, სტალინისის, გორის და კასპის რაიონებში ვერ მოგვცა სასურველი შედეგები. ამჟამად ელექტროფიკაციის განყოფილებას განზრახვა აქვს აწარმოოს მუშა-ხელის შეგროვება დარჩენილი უბნის გასწვრივ. საყრდენების დადგმა მთელი უბნის გადასარბენზე და სადგურ სტალინისიდან კასპამდე შეიძლება დამთავრდეს 1 დეკემბრისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები უზრუნველყოფილი იქნება მუშა-ხელით, ამასთან დანარჩენი სასადგურო გზების დამთავრება გადაიდება მომავალი წლის პირველი კვარტალისათვის.

(ალს).

# საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოს გაერთიანებული პლენუმი

## ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა

გუშინ, 22 სექტემბერს ამხ. სტალინის სახელობის კლუბში გაიხსნა საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოს გაერთიანებული პლენუმი.. პლენუმი გახსნა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. მაჩაიძემ. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

ტფილისის საბჭოს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება (მომხ. ამხ. მაჩაიძე).

საქალაქო მეურნეობის შესახებ (მომხ. ამხ. ნოვიკოვი).

ინფორმაცია ნატახტარის მშენებლობაზე (მომხ. ამხ. კილურაძე).

სამივე საკითხზე მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. თ. ღლონტმა, ლეკვეიშვილმა და სხვ.

პლენუმის სხდომის დასასრულს ვრცელი სიტყვით გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. ლ. ბერია, რის შემდეგ პლენუმის პირველი სხდომა დაიხურა.

პლენუმის მეორე სხდომა შესდგება დღეს, 23 სექტემბერს საღამოს სრულ 7 საათზე.

# ი. სტალინი

# „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით"

რუსეთის ფედერაციის ყველა განაპირა რაიონიდან ამ.-კავკასია ნაციონალური შემადგენლობის სიუხვის და მრავალფეროვანობის მხრივ, გვგონია, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბეიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ინგუშები და ოსები, ჩეჩნები და აფხაზები, ბერძნები და კუმიკები—ასეთია ამიერ-კავკასიის 7 მილიონიანი მოსახლეობის ეროვნული სხვადასხვაობის სრულიადაც არასრული სურათი. არც ერთ ამ ნაციონალურ ჯგუფს არ გააჩნია ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად შემოფარგლული საზღვრები; ყველა ისინი ცხოვრობენ აჭრელებულად, ერთმანეთში არეულად და ეს არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამიერ-კავკასიის ნაციონალური ჯგუფების საერთო ბრძოლას რუსეთის ცენტრის წინააღმდეგ ძალიან ხშირად ჩრდილავს ერთმანეთს შორის მათი გაფართოებული ბრძოლა. ეს კი ქმნის მეტად „ხელსაყრელ" ვითარებას კლასობრივი ბრძოლის ნაციონალური დროშებით და საჩხარუნებლებით დაფარვისათვის.

ამიერ-კავკასიის მეორე, არანაკლებ დამახასიათებელი ნიშანია მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ არ ჩავთვლით ბაქოს—მხარის ამ სამრეწველო ოაზისს, რომელიც,—უმთავრესად, უცხოეთის კაპიტალით სულდგმულობს, მაშინ ამიერ-კავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას ცოტად თუ ბევრად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით განაპირა კუთხეებში, ზღვების ნაპირებთან, და წმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში. ტფილისის, ელისავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებში დღემდის ბლომად იყვნენ მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალური ქართველი თავადები, რომელნიც ფლობდენ უზარმაზარ ლატიფუნდიებს, რომელთაც ჰყავდათ სპეციალური შეიარაღებული ბანდები—და ხელთ ეპყრათ თათარ-სომეხ-ქართველი გლეხების ბედიღბალი. სწორედ ამით აიხსნება აგრარულ „არეულობის" ის მკაცრი ფორმები, რომლებშიაც არაიშვიათად იხატებოდა იქ გლეხთა უკმაყოფილება. აქვე უნდა ვთქვათ ამიერ-კავკასიაში მუშათა მოძრაობის სისუსტის და დაუხვეწლობის მიზეზი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს, რომელსაც ძალიან ხშირად ჩრდილავს აგრარული „არეულობა"), ყვეფერი ეს ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს შეძლებული კლასების და ეგრეთწოდებული „სოციალისტური" ინტელიგენციის,—რომლის უმეტესობა თავადაზნაურულია, პოლიტიკური კოალიციისათვის ჩვენს ქვეყანაში ამჟამად აბობოქრებული მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ.

თებერვლის რევოლუციას ა-კ-ს მშრომელი კლასების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია. ჯარისკაცები—სოფლის ეს ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტები—ჯერ კიდევ ფრონტზე იყვნენ. მუშები კი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, საერთოდ უფრო სუსტნი, როგორც კლასი, და ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, იმყოფებოდენ მოპოვებულ პოლიტიკურ თავისუფლებათაგან განცხრომის მდგომარეობაში და, როგორც ჩანს, არ აპირებდენ უფრო შორს წასვლას. მთელი ხელისუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდენ ხელისუფლებას და იცდიდენ, ხალისით აძლევდენ ნებას ესერ-მენშევიკთა სტრატეგებს მიეძინებიათ მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირეულად შეცვალა მდგომარეობა. მან ერთი ხელის მოსმით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა დასვა რა საკითხი მშრომელი კლასების ხელში ხელისუფლების გადასვლის შესახებ. ძახილი „მთელი ხელისუფლება მუშებსა და გლეხებს" ქუხილით მოედვა ქვეყანას და ფეხზე დააყენა დაჩაგრული მასები. და როცა ეს ძახილი, რომელიც გაისმა ჩრდილოეთ რუსეთში, იქ უკვე ხორცს ისხამდა, ამიერ-კავკასიის შეძლებულმა კლასებმა ნათლად დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება მათთვის აუცილებელ სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა. „სოციალისტური" ესერულ მენშევიკური ინტელიგენცია კი, რომელმაც უკვე იგემა ხელისუფლების სიტკბოება და რომელიც ახლა დადგა მისი დაკარგვის პერსპექტივის წინაშე, ავტომატურად აღმოჩნდა შეძლებულ კლასებთან კავშირში. ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიცია ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, მისი თათარი ბეგებით, როგორიცაა ხანხოისკი და ხასმამედოვი ერთი მხრით, და ქართველი აზნაური ინტელიგენტებით, როგორიცაა ჟორდანია და გეგეჭკორი მეორე მხრით, ამ ანტისაბჭოთა კოალიციის ცოცხალი განხორციელებაა.

ნაციონალური ჯგუფების შიგნით კლასების კოალიციისათვის ეწყობა „ნაციონალური" საბჭოები: ქართული, თათრული, სომხური. მათი სულისჩამდგმელი მენშევიკი ჟორდანიაა. ამ.-კავკასიის ყველა მთავარი ეროვნების შეძლებული ფენების კოალიციისათვის არსდება ამერ-კავკასიის კომისარიატი. მისი ხელმძღვანელია მენშევიკი გეგეჭკორი. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მხარის „მთელი მოსახლეობის" გასაერთიანებლად ეწყობა ეგრეწოდებული „ამიერ-კავკასიის სეიმი", დამფუძნებელი კრების ესერ-მენშევიკ-დაშნაკ-ხანური ა-კავკასიელი წევრებისაგან. მისი დეკორაცია, ე. ი. თავმჯდომარე, მენშევიკი ჩხეიძეა. აქ არის „სოციალიზმიც" და „ნაციონალური თვითგამორკვევაც" და კიდევ რაღაცა უფრო რეალური, ვიდრე ეს ძველი საჩხარუნებლები, სახელდობრ შეძლებული ფენების რეალური კავშირი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ საჩხარუნებლებით თავს დიდხანს ვერ გაიტან. კავშირი მოითხოვს „საქმიანობას". და „საქმიანობაც" დაუყოვნებლივ გამოჩნდა ასპარეზზე, როგორც კი წამოიჭრა პირველი რეალური საშიშროება. ჩვენ ვლაპარაკობთ რევოლუციურ ჯარისკაცებზე, რომლებიც ბრუნდებოდენ თურქეთის ფრონტიდან საშვიდობო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. ამ ჯარისკაცებს უნდა გაევლოთ ტფილისი, ანტი-საბჭოთა კოალიციის დედა-ქალაქი. ბოლშევიკების ხელში ისინი წარმოადგენდენ სერიოზულ საფრთხეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის არსებობისათვის. ეს იყო უაღრესად რეალური საშიშროება. და სწორედ აქ, ამ საფრთხის წინაშე, გაქრა ყველა და ყოველგვარი „სოციალისტური" საჩხარუნებელი". კოალიციის კონტრ - რევოლუციური ხასიათი აშკარა ხდება. კომისარიატი და „ეროვნული საბჭოები" იარაღს ჰყრიან ფრონტიდან დაბრუნებულ ნაწილებს, მოღალატურად სროლას უტეხენ მათ და აიარაღებენ ველურ „ნაციონალურ" ურდოებს. „საქმის" უფრო მეტი სიმტკიცისათვის და თავის-თავის უზრუნველსაყოფად ჩრდილოეთიდან, ამიერ-კავკასიის კომისარიატი უთანხმდება კარაულოვს და კალედინს, უგზავნის ამ უკანასკნელს რამდენიმე ვაგონ ვაზნებს, ეხმარება მან განაიარაღოს ის ნაწილები, რომელთა განიარაღებაც თითონ მან ვერ მოასწრო, და საერთოდ ხელს უწყობს მას ყოველგვარი საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. [illegible] ამიერ-კავკასიის შეძლებული კლასები რევოლუციური ჯარისკაცებისაგან და არ შეერიდეს არავითარი საშუალების წინააღმდეგ — ასეთია ამ სულმდაბლური „პოლიტიკის" დედააზრი. მუსულმანთა შეუგნებელი, შეიარაღებული რაზმების წაქეზება რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ, ამ ჯარისკაცების შეტყუება წინასწარ მოწყობილ ხაფანგში, მათი ამოხოცვა და დახვრეტა — ასეთია ამ „პოლიტიკის" საშუალებანი. განიარაღების ამ სამარცხვინო „პოლიტიკის" უმაღლეს ილუსტრაციას წარმოადგენს იმ რუსი ჯარისკაცების დახვრეტა შამქორთან, ელისავეტპოლსა და ტფილისს შორის, რომლებიც თურქეთის ფრონტიდან მოდიოდენ კალედინის წინააღმდეგ. აი, რას სწერდა ამის შესახებ „ბაკინსკი რაბოჩი":

1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში რკინის გზის ხაზზე ტფილისიდან ელისავეტპოლამდე შეიარაღებულ მუსულმანთა მრავალათასიანმა ბანდებმა ელისავეტპოლის მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების მეთაურობით და ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილ ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით რამდენიმეჯერ ძალით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი ჯარის ნაწილები. ამასთან მოკლული და დასახიჩრებულია რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი, რომელთა გვამებით მოფენილია რკინის გზის ხაზი. მათ ჩამოერთვათ 15 ათასამდე თოფი, 70-დე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი".

ასეთია ფაქტები. ამიერ-კავკასიის რევოლუციური ჯარისკაცების წინააღმდეგ მემამულეების და ბურჟუაზიის კავშირი, რომელიც მოქმედებს ოფიციალური მენშევიზმის დროშის ქვეშ — ასეთია ამ ფაქტების დედა აზრი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ამონაწერები „ბაკინსკი რაბოჩის" წერილებიდან, რომლებიც აშუქებენ ელისავეტპოლ - შამქორის ამბებს.

„მენშევიკები ცდილობენ დამალონ სიმართლე ელისავეტპოლის ამბების შესახებ. მათი გუშინდელი მოკავშირეების — ტფილისელი სოციალისტ - რევოლუციონერების გაზეთი „ზნამია ტრუდა" კი აღნიშნავს მათ ცდას—„მიაფუჩეჩონ საქმე" და მოითხოვს საკითხის აშკარად განხილვას სამხარეო ცენტრში.

ჩვენ ვესალმებით სოციალისტ - რევოლუციონერების ამ მოთხოვნას, ვინაიდან იმისაგან, იქნებიან, თუ არა ოფიციალურად გამოაშკარავებული შამქორის ტრაგედიის გამომწვევნი, სავსებით აიხდება თუ არა ფარდა 6—12 იანვრის ამბებს — საგრძნობლადაა დამოკიდებული რევოლუციის შემდგომი ბედი — ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ იმ პირთა შორის, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ელისავეტპოლის ამბებში, უწინარეს ყოვლისა, დასახელებულ უნდა იქნას კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ოდესღაც ყოფილი ბელადი, ამჟამად კი ეგრეთწოდებული „ქართველი ერის მამა" — **ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია.** მისი თავმჯდომარეობით დაადგინა სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმმა აჰყაროს იარაღი ჩამოსულ ეშელონებს და მათ ხარჯზე შეაიარაღოს ეროვნული პოლკები. მის მიერ ხელმოწერილი დეპეშა გაეგზავნა ელისავეტპოლის მუსულმანთა კომიტეტს შამქორის მახლობლად თავმოყრილ ეშელონების განიარაღების შესახებ, იგი, ნოე ჟორდანია, გზავნიდა დელეგაციებს ტფილისიდან იმავე დავალებით განეიარაღებიათ ეშელონები. ეს ოფიციალურად განაცხადა ელისავეტპოლის სამოქალაქო კომიტეტის მრავალრიცხოვან სხდომაზე დელეგაციის წევრმა ჯარისკაცმა კრუპკომ. ნოე ჟორდანიამ და მისმა ყოველთვის გადამეტებით გულმოდგინე თანაშემწემ ნ. რამიშვილმა გაგზავნეს ჯავშნიანი მატარებელი აფხაზავას მეთაურობით, რომელიც ურიგებდა მუსულმანებს იარაღს და ეხმაურებოდა მათ ათახობით დაეხვრიტათ ჯარისკაცები და აეყარათ იარაღი ეშელონებისათვის.

ნოე ჟორდანია თავს იმართლებს იმით, რომ მას არ მოუწერია ხელი დეპეშაზე. რამდენიმე ათეული კაცი — სომხები და მუსულმანები ადასტურებენ, რომ დეპეშა ხელმოწერილია მის მიერ და რომ ეს დეპეშა არსებობს. ჟორდანია ამბობს, რომ, როცა მან გაიგო გართულების შესახებ, ტელეფონით ელაპარაკა აფხაზავას, სთხოვა მას ძალით არ აყაროს იარაღი ეშელონებს და გაუშვას ისინი. აფხაზავა მოკლულია. ამ განცხადების შემოწმება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ლაპარაკი იყო.

თავი რომ დავანებოთ მკვდარს, რომელსაც, ანდაზის მიხედვით, ყველაფერი შეგვიძლია დავაბრალოთ, მოიპოვებიან ცოცხალი მოწმეები, რომლებიც აბათილებენ ჟორდანიას ჩვენებებს და ადასტურებენ, როგორც დეპეშის მისამართს, ისე ჟორდანიას ხელისმოწერას და დელეგაციის გაგზავნას დავალებით აყარონ ეშელონებს იარაღი და სხვ.

რატომ არ აძლევს ჟორდანია მათ პასუხისგებაში თუ ისინი არ ამბობენ სიმართლეს? რატომ სურს მას და მის მეგობრებს „მიჩქმალონ საქმე"?

არა, მოქალაქე ჟორდანია, რამიშვილო და კომპანია, თქვენ გაწევთ მძიმე პასუხისმგებლობა 7—12 იანვარს მოკლულ რამდენიმე ათასი ჯარისკაცის სისხლისათვის.

შეგვიძლიათ თუ არა თქვენ გაიმართლოთ თავი ამ უაღრესად მძიმე ბოროტმოქმედებაში? მაგრამ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არა პირად გამართლებაზე.

ამ შემთხვევაში ჟორდანია გვაინტერესებს ჩვენ არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც პარტიის ბელადი, რომელიც ქმნის პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში, როგორც ამიერ-კავკასიის ხელისუფლების ყველაზე უფრო ავტორიტეტიანი და პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

იგი აკეთებდა თავის დანაშაულებრივ საქმეს ჯერ ერთი—სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმის და ეროვნებათაშორისო საბჭოს დადგენილებით და მეორე — უდაოა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის თანხმობით. ბრალდება, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ ჟორდანიას, ვრცელდება მენშევიკების მთელ პარტიაზე, სამხარეო ცენტრზე, ამიერ - კავკასიის კომისარიატზე, სადაც ბატონი ჩხენკელი და გეგეჭკორი მჭიდრო და აშკარა ბლოკში მუსულმან ბეგებსა და ხანებთან, აკეთებდენ ყველაფერს იმისათვის, რომ დაღუპონ რევოლუცია. ჩვენ ვლაპარაკობთ ჟორდანიას და რამიშვილის შესახებ რამდენადაც მათი სახელები დაკავშირებულია დეპეშებთან, ბრძანებებთან, „ყაჩაღური" ჯავშნიანი მატარებლის გაგზავნასთან. მათგან უნდა დაიწყოს გამოძიება სინამდვილის გამოსარკვევად.

მაგრამ კიდევ არის სახელები, რომლებიც დასახელებულ უნდა იქნან, არის კიდევ ბოროტმოქმედთა ერთი ბუდე, რომელნიც უნდა აღიგავოს. ეს ბუდეა — მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტი ელისავეტპოლში, რომელიც მთლიანად შესდგება რეაქციონური ბეგებისა და ხანებისაგან, რომელმაც 7 იანვარს, საღამოს, ჟორდანიას დეპეშის თანახმად, დაადგინა განაიარაღოს ეშელონები „ყოველ მიზეზს გარეშე" და რომელმაც გაუგონარი ურცხვობით და სისხლისმსმელობით შეასრულა თავისი დადგენილება 9—12 იანვარს.

მენშევიკური პრესა, როცა იგი ლაპარაკობს ელისავეტპოლის ამბების შესახებ, გვიხატავს საქმეს ისე, თითქოს, ეს იყოს ამიერ-კავკასიისათვის ჩვეულებრივი „ყაჩაღური" თავდასხმა რკინის გზაზე. ეს არის უაღრესად ურცხვი სიცრუე.

არა ყაჩაღებმა, არამედ მდიდარი ნადავლით შეცდომაში შეყვანილმა მუსულმანთა მშვიდობიანი მოსახლეობის ათასებმა, რომლებსაც ოფიციალურად ხელმძღვანელობდა მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტი და რომლებიც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ეს ხდება ამიერ-კავკასიის ხელისუფლების ბრძანებით, ჩაიდინეს დანაშაულებრივი საქმე შამქორთან და დოლიართან. მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტი აშკარად აგროვებდა ელისავეტპოლში რამდენიმე ათას მუსულმანს, აიარაღებდა მათ, ათავსებდა მატარებლებში ელისავეტპოლის სადგურზე და აგზავნიდა შამქორში. როცა მოპოვებულ იქნა „გამარჯვება", მოწმეების ჩვენებით, მტრისათვის ჩამორთმეულ ზარბაზანზე შემჯდარი ესერი საფიკიურდსკი სხვა გმირებთან ერთად მუსულმანთა კომიტეტიდან ზეიმით შევიდა ქალაქში.

რომელ ყაჩაღურ თავდასხმაზეა „აქ ლაპარაკი" („ბაკინსკი რაბოჩი" № 30).

ასეთები არიან ამ დანაშაულებრივი ავანტიურის მთავარი გმირები. აი დოკუმენტებიც, რომლებიც ამჟღავნებენ ავანტიურის შემოქმედებს.

**მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას დეპეშა ყველა საბჭოს ეშელონების განიარაღების შესახებ.**

„ამიერ-კავკასიის ყველა საბჭოს.

ტფილისიდან № 505. მიღებულია 6—1 1918 წ., გაგზავნ. № 56. 363. მიიღო ნაპუმოვმა. სიტყვების რიცხვი 59. მიცემულია 5—28—24. ცირკულიარულად.

ვინაიდან რუსეთში მიმავალი ჯარის ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და იმ შემთხვევაში, თუ დროებითი ზავი ჩაიშალა ნაციონალურ ნაწილებს არ ექნებათ საკმაო იარაღი ფრონტის დასაცავად, ამის გამო, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრმა დაადგინა — წინადადება მისცეს ყველა საბჭოს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ჩამოართვან იარაღი მიმავალ ნაწილებს და თვითეული შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს.

სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე
**ჟორდანია.**

**როტმისტრ აფხაზავას დეპეშა თათართა ცხენოსანი პოლკის უფროსის მაღალაშვილისადმი.**

ელისავეტპოლი,

თათ. ცხენოსანი პოლკის უფროსს მაღალაშვილს ძეგამიდან. № 42. მიღებულია 1918 წ. 7 I, ჟ—სგან № 1. 857. მიიღო ვატამ. სიტყვათა რაოდენობა 30. მოცემულია 7-ს 15 საათზე.

მოდის 5 შეიარაღებული ეშელონი ზარბაზნით. დაიჭირეს საბჭოს წარმომადგენლები. მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით უკუსაგდებლად. გთხოვთ ყოველგვარი იარაღით დახმარებას.

როტმისტრი აფხაზავა. დ. შათირიშვილი.
(„ბ. რ." № 33).

ასეთია დოკუმენტები.

ამნაირად, მოვლენათა მსვლელობაში უკუგდებულ იქნა „სოციალისტური" საჩხარუნებლები და მათ მაგივრად წამოიჭრა ა-კავკასიის კომისარიატის კონტრ-რევოლუციური „საქმიანობა". ჩხეიძე, გეგეჭკორი, ჟორდანია მხოლოდ ხელს აფარებდენ თავისი პარტიული დროშით ა-კავკასიის კომისარიატის უმსგავსოებას. მოვლენათა ლოგიკა ყოველგვარ სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია.

იარაღს ჰყრიდა რა ფრონტიდან მიმავალ რუსის ჯარისკაცებს და ებრძოდა რა ამნაირად „გარეშე" რევოლუციონერებს, ა-კავკასიის კონტრ-რევოლუციურ კომისარიატს იმედი ჰქონდა ორი კურდღლის მოკვლისა: ერთი მხრით იგი ანადგურებდა სერიოზულ რევოლუციურ ძალას, რუსეთის რევოლუციურ არმიას, რომლებზედაც შეეძლო უმთავრესად დაყრდნობა ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტს; მეორე მხრით, იგი ღებულობდა, „აუცილებელ" იარაღს ნაციონალური, ქართული, სომხური, მუსულმანური პოლკების შესაიარაღებლად, რომლებიც მენშევიკურ - კონტრ-რევოლუციური კომისარიატის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენდენ. „გარეშე" რევოლუციონერების წინააღმდეგ ომს, ამნაირად, უნდა უზრუნველეყო ა-კავკასიის შიგნით მშვიდობიანობა. და ამ ცბიერ პოლიტიკას ბატონი გეგეჭკორი და ჟორდანია მით უფრო გაბედულად ანხორციელებდენ, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფილად გრძნობდენ თავს „ზურგიდან", ე. ი. ჩრდილოეთკავკასიიდან, იქაური კალედინელებითა და ფილიმონოვებით.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ ყირამალა დააყენა ა-კავკასიის კონტრ-რევოლუციონერების ყოველგვარი ანგარიში.

როსტოვისა და ნოვოჩერკასკის დაცემამ, რომლებიც კალედინ - კორნილოვის თავშესაფარს წარმოადგენდენ, ძირეულად შეარყია „ჩრდილოეთის ზურგი". მთელს ჩრდილო - კავკასიის ხაზის საბოლოოდ თვით ბაქომდის გაწმენდამ ამ ზურგის მნიშვნელობა მთლიად გააბათილა. ჩრდილოეთიდან აგორებული ტალღა საბჭოთა რევოლუციისა, მოურიდებლად შეიჭრა ამიერ-კავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას ემუქრებოდა.

ასევე „არახელსაყრელი" პირობები შეიქმნა თითონ ამიერ-კავკასიაშიაც.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერ-კავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოხდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსულმან და ქართველი მემამულეების სასახლეები. „გაბოლშევიკებული" ჯარისკაცების — გლეხების მიერ ბატონყმური ნაშთების ბურჯებზე მედგარი იერიში იქნა მიტანილი. ცხადი იყო, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ცალიერი დაპირებები გლეხებისადმი მიწების გადაცემის შესახებ—უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა აგრარული ტალღით მოცულ გლეხებს. ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან მოითხოვდენ საქმეს, მაგრამ არა კონტრ-რევოლუციურს, არამედ რევოლუციურ საქმეს.

არ ჩამორჩენიან და არ შეიძლებოდა ჩამორჩენოდენ მოვლენებს მუშებიც.

ჯერ-ერთი, ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ბევრი მონაპოვარი მოქონდა, ბუნებრივია, რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს აღძრავდა ახალი ბრძოლისათვის. მძინარა ტფილისის მუშებმაც კი, მენშევიკური კონტრ-რევოლუციის ამ ბურჯებმა, იწყეს ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან ჩამოშორება და საბჭოთა ხელისუფლებას მოითხოვდენ. მეორე მხრით, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც კალედინფილიმონოვის დროს ტფილისს პურს აწვდიდა, საბჭოებმა გაიმარჯვეს, გამწვავდა სასურსათო გაჭირვება, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მთელი რიგი სასურსათო „არეულობანი". რევოლუციური ჩრდილო-კავკასია გადაჭრით უარს ამბობდა ესაზრდოებინა კონტრ - რევოლუციური ტფილისი, მესამე: ფულის ნიშნების უქონლობა (ბონებს არ შეიძლებოდა მათი მაგივრობა გაეწიათ) არღვევდა სამეურნეო ცხოვრებას და უწინარეს ყოვლისა, რკინის გზის ტრანსპორტს, რამაც უეჭველია, გააძლიერა ქალაქის მცხოვრებთა ქვედაფენების უკმაყოფილება. დასასრულ, რევოლუციური, პროლეტარული ბაქო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე აღიარა საბჭოთა ხელისუფლება, და ამიერ-კავკასიის კომისარიატთან დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდა, ნებას არ აძლევდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს — მისძინებოდა და მისთვის წასაბაძ მაგალითსა და ისეთ ცოცხალ მუქარას წარმოადგენდა, რომელიც უნათებდა მას გზას სოციალიზმისაკენ.

ყველაფერს ამას ერთად არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ამიერ-კავკასიის მთელი პოლიტიკური ვითარების რევოლუციონიზირება.

საქმე იქამდის მივიდა, რომ „უსაიმედოესმა" ნაციონალურმა პოლკებმაც კი „გახრწნა" იწყეს და ბოლშევიკების მხარეს გადადიოდენ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე წამოიჭრა დილემა:

ან მუშებსა და გლეხებთან — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და მაშინ კოალიცია ირღვევა.

ან გადაჭრით ბრძოლა გლეხებისა და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მემამულეებსა და კაპიტალისტებთან კოალიციის შესანარჩუნებლად.

ბატონმა ჟორდანიამ და გეგეჭკორმა მეორე გზა აირჩიეს.

გავიხსენოთ თუგინდ ის, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ქართველ-თათარ-გლეხთა აგრარული მოძრაობა „ყაჩაღობად" და „ხულიგნობად" გამოაცხადა, აპატიმრებდა და ხვრეტდა „მეთაურებს". იბრძოდა მემამულეებისთვის — გლეხთა წინააღმდეგ!

შემდგომ კომისარიატმა დახურა ყველა ბოლშევიკური გაზეთი ტფილისში, ხოლო იმ მუშებს, რომელნიც ამ უგვანობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდენ — აპატიმრებდა და ხვრეტდა. ბრძოლა კაპიტალისტებისათვის — მუშათა წინააღმდეგ!

ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბატონმა ჟორდანიამ და გეგეჭკორმა, როგორც ჩანს, „მეხის თავიდან არიდების" მიზნით, მიმართეს სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტისადმი ხელისშეწყობას — ეს ისეთი სამარცხვინო რამ არის, რის მსგავსამდისაც ჯერ კადეტებიც კი არ ჩამოქვეითებულან!

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, ამიერ-კავკასიის სეიმი და ეროვნული საბჭოები მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ — ასეთია ამ „ახალი" კურსის აზრი.

ამნაირად, ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლუციონერებმა „გარეშე" რევოლუციონერებთან ბრძოლა, რუსის ჯარისკაცებთან ბრძოლა შეავსეს და გადააქციეს შინაურ რევოლუციონერებთან ბრძოლად, თავის საკუთარ" მუშებსა და გლეხებთან ბრძოლად. ფრიად საინტერესოა ამიერ-კავკასიის კოალიციონერების პოლიტიკის ამ „შეტრიალების" დასახასიათებლად ის წერილი, რომელიც ამ დღეებში მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე ერთი კავკასიელი ამხანაგისაგან, რომელიც თვალით მნახველია ბ-ნი გეგეჭკორ-ჟორდანიას კონტრ-რევოლუციური უგვანობისა. მოგვყავს ეს წერილი მთლად და უცვლელად. აი იგი:

„უკანასკნელ დღეებში აქ მოხდა ახალი ამბები და ამჟამად მდგომარეობა მეტად სერიოზულია. 9 თებერვალს დილით დააპატიმრეს ოთხი ჩვენი ამხანაგი, მათ შორის ახალი ბოლშევიკური კომიტეტის წევრი თ. კალანდაძე. ხელმოწერილი იქნა ორდერები აგრეთვე სხვა ამხანაგების—ფ. მახარაძის, ნაზარეტიანის, შავერდოვის და სამხარეო კომიტეტის დანარჩენი წევრების დაპატიმრებაზე. დაინდეს მხოლოდ მიხა ცხაკაია, ალბად, მისი ავადმყოფობის გამო. ყველანი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდენ. ამავე დროს დახურეს ჩვენი გაზეთები: „კავკ. რაბოჩი", „ბრძოლა" (ქართ). და „ბანვორი კრივი" (სომხ.) და დაბეჭდეს ჩვენი სტამბა.

ამან მუშებს შორის აღშფოთება გამოიწვია. ამავე დღეს, 9 რიცხვს, რკინის გზის სახელოსნოებში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 3000-მდე მუშა. მიტინგმა ერთხმად (მხოლოდ ოთხმა შეიკავა თავი) გადაწყვიტა გამოეცხადებინა გაფიცვა და მოეთხოვა ამხანაგების განთავისუფლება და გაზეთების გამოშვება. გადაწყდა გაფიცულიყვნენ მანამდე, სანამ მოთხოვნებს არ შეასრულებდენ. მაგრამ გაფიცვა სრული არ აღმოჩნდა. გაუსწორებელი მენშევიკური შაიკა, თუმცა მას მიტინგზე არ გამოულაშქრებია და წინააღმდეგ ხმა არ მიუცია, მაინც მუშაობდა. იმავე დღეს შედგა ასოთამწყობების, მბეჭდავების კრება, სადაც 226 ხმით, 190 წინააღმდეგ, გადაწყვიტეს გამოეცხადებიათ ერთი დღის გაფიცვა—პროტესტი იმავე მოთხოვნებით. უფრო ერთსულოვნად დაადგინეს გაფიცვის გამოცხადება ელექტრიკებმა, მეტყავეებმა, მკერავებმა, არსენალის სახელოსნოებმა, ტოლეს, ზარგარიანცის და სხვა ქარხნებმა.

ქალაქში აღშფოთებას იზიარებდენ ობივატელებიც. მაგრამ მეორე დღეს, ათ თებერვალს, მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც დაგვავიწყა დაპატიმრებანიც და გაზეთებიც.

რკინისგზელთა და სხვათა საგაფიცვო კომიტეტმა ამ დღეს, დილის 11 საათისათვის, დანიშნა საპროტესტო მიტინგი ალექსანდრეს ბაღში. მიტინგის ჩაშლილად მიღებული ყველა ზომის მიუხედავად, მიტინგზე მოვიდა 3000-ზე მეტი მუშა და ჯარისკაცი (უკანასკნელები ცოტანი იყვნენ, რადგან ეშელონები დგანან ქალაქიდან 15 ვერსტის მანძილზე). მიტიგზე გამოცხადდენ დამალული ამხანაგებიც—ქავთარაძე, მახარაძე, ნაზარეტიანი და სხვ. მიტინგის დროს ბაღში შემოვიდენ (დაახლოვებით ორ გუნდამდე) მილიციონერები და „წითელგვარდიელები".

წითელი დროშებით ხელში და ნიშნებით მიტინგის დამშვიდებით, ისინი შეპარენ შეკრებილთ. მიტინგის ნაწილი, რომელიც დაშლას აპირებდა, დარჩა, რაკი ეგონა, რომ თავისიანები მოდიან, კიდეც ესალმებოდა მათ „ვაშას" ძახილით. თავმჯდომარე ქავთარაძეს სურდა გაეჩერებია ორატორი და მისალმებოდა მოსულებს. ამ დროს მოსულები სწრაფად გარშემოერტყენ მიტინგს და მას თოფებიდან და ტყვიამფრქვევებიდან საშინელი ცეცხლი დაუშინეს. უმთავრესად უმიზნებდენ პრეზიდიუმს, რომელიც ესტრადაზე იდგა. მოკლულია რვა კაცი, დაიჭრა 20-ზე მეტი კაცი. ათი ტყვიით მოკლულ იქნა ერთი ამხანაგი. რომელიც ქავთარაძეს წააგავს, იმასავით ჩაცმულია, და წითელგვარდიელები ერთმანეთს უყვიროდენ, რომ ქავთარაძე უკვე მოკლულიაო. ხალხის ნაწილი გაიქცა, დანარჩენი მიწაზე გაწვა. სროლა 15 წუთს გრძელდებოდა.

სწორედ ამ წუთში ის იყო გაიხსნა ა. კ. გაფართოებული სეიმის პირველი სხდომა და ჩხეიძე სიტყვას ამბობდა თოფების და ტყვიამფრქვევების აკომპანიმენტის ქვეშ, რომელთაც იქვე სასახლის მახლობლად ტკაცატკუცი გაქონდათ.

ამ დახვრეტამ, რომელიც ჩადენილ იქნა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და ასე გამცემლურად, ახალი აღშფოთება გამოიწვია მუშებს შორის და, ვფიქრობ, რომ უკვე საბოლოოდ ჩამოაშორა ისინი მენშევიკებს.

ნაზარეტიანს და ცინცაძეს დაეწიენ მიტინგის შემდეგ და დასახვრეტად მიყავდათ, მაგრამ ისინი გადაარჩინა ესერმა მერხალიევმა. უკანასკნელები „აღშფოთებას გამოთქვამენ", პროტესტს აცხადებენ და სხვ. აღშფოთებული არიან დაშნაკებიც და საერთოდ მთელი ქალაქი. მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მათ ქალაქში სოფლიდან ჩამორეკეს შეიარაღებული „წითელ-გვარდიელები" და მუსულმანთა ველური დივიზია და თარეშობენ. ყველა ამხანაგს—ბელადებს აშკარად ემუქრებიან დახვრეტით. მიტინგის დახვრეტის დღეს ქალაქში გაჩნდა მრავალი ოფიცერი თეთრი მოსახვევებით—თეთრგვარდიელები, რომელნიც დაძრწოდენ ქალაქში და ბოლშევიკებს ეძებდენ. ტრამვაიდან მოხსნეს ერთი კაცი. რომელიც, თითქოს, წააგავდა შაუმიანს და პირდაპირ ესროლეს, ყვიროდენ, რომ ეს შაუმიანიაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

გუშინ, 11-ს გაიმართა მიტინგი ეშელონებში ჩვენი ამხანაგების მონაწილეობით, იქ ექვსმა ათასმა ჯარისკაცმა, უარტილეროდ, გადაწყვიტა მოეთხოვა დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, გაზეთების ნების დართვა და 10 რიცხვის ამბების (მიტინგის დახვრეტა, რომლის დროსაც, სხვათა შორის, მოკლეს ამ ეშელონებიდან ერთი ჯარისკაცი) გამოძიება. გუშინვე გამოგზავნეს დელეგაცია ულტიმატუმით, მისცეს 24 საათის ვადა.

დღეს ვადა გადის; ამბობენ რომ კომისარიატი ძალებს თავს უყრის წინააღმდეგობის გასაწევად. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ ვიცი. ეშელონელი პასუხისმგებელი ამხანაგები ჯერ არ დაბრუნებულან, რადგან ეშინიათ, რომ გზაზე დააპატიმრებენ მათ. იქ ისინი არჩეულნი არიან ეშელონების სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში. ველდი უფრო ზუსტ ცნობებს.

ხვალისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს სხდომა. ესერები და დაშნაკები პროტესტით გამოვლენ. იქნებიან ჩვენი წარმომადგენლებიც. ქალაქში სულისკვეთება ძალიან შეშფოთებულია. დღეს გამართვა-ქალაქის [illegible] წინ, ვინაიდან შიმშილობა იწყება. მთელ ქალაქში ყველგან სახელდახელო მიტინგებია. მთელ საქართველოში იწყება გლეხთა მოძრაობა რუსეთიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცების გავლენით, რომლებიც ყველანი ან ბოლშევიკები არიან, ან ბოლშევიკურად არიან განწყობილნი. მენშევიკები ამ მოძრაობას ყაჩაღურს, დამრბევს უწოდებენ და მათ დასამშვიდებლად გზავნიან წითელ გვარდიელებს. გორში დააპატიმრეს ჩვენი ამხანაგები. დღეს იუწყებიან, რომ იქ განაიარაღეს ჩვენიანი ჯარისკაცები და ახლა ხვრეტა წარმოებს. ქუთაისიდან იუწყებიან, რომ ქალაქი ბოლშევიკების ხელშია ბუდუ მდივანის მეთაურობით. იქით თავი მოუყარეს ყოველი კუთხიდან მენშევიკების ძალებს. ჩვენ მიერ გაგზავნილებისაგან ჯერ პასუხი არ მიგვიღია, ველი ყოველ წუთს. გუშინ მუხრანში დააპატიმრეს ბოლშევიკი, მოხუცი ცერცვაძე, რომელიც წასული იყო იქ იმის გამო, რომ მოელოდენ გლეხების გამოსვლას თ—დ მუხრანსკების და სახელმწიფო მამულების წინააღმდეგ.

დაპატიმრებულნი არიან და ამჟამად მეტეხში ზის 9 კაცი. ესერების წითელი გვარდია, რომელიც იქამდის საპატიმროს იცავდა, დაპატიმრებათა გამო, პოსტიდან მოიხსნა და წინადადებას გვაძლევდა — დაგეხმარებითო.

გუშინ საგაფიცვო კომიტეტმა, რომელიც შესდგება ზემოთ ჩემ მიერ ჩამოთვლილ საწარმოთა წარმომადგენლებისაგან, გამოუშვა მოწოდება საყოველთაო გაფიცვისათვის, დღეს ამ საკითხზე ყველგან მსჯელობენ. ვნახოთ, თუ როგორ მოიქცევა ტფილისის პროლეტარიატი.

სეიმის გახსნას 10 თებერვალს დაესწრნენ მხოლოდ მენშევიკები (37 კაცი) და 1 მუსულმანი. მეტი არავინ ყოფილა. მუსულმანმა დეპუტატმა მოითხოვა სხდომები გადაედოთ 13 სათვის და ასეც მოიქცნენ. გაგზავნიან ალბათ დაშნაკებიცა და ესერებიცა".

ასეთია „სურათი".

დიდხანს გასძლებს თუ არა ეს კონტრ-რევოლუციური კომისარიატი, რომელსაც ისტორიამ უკვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი,—ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ეს უახლოეს მომავალში გამოირკვევა.

მაგრამ ერთი რამ უეჭველია: უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოხადა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ კონტრ-რევოლუციონერებს. ახლა მთელ რევოლუციურ მსოფლიოს საშუალება აქვს თვალნათლივ დაინახოს და დარწმუნდეს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად ბოროტ კონტრ-რევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული. ასეთია ფაქტი. ხოლო ვინ არ იცის, რომ „სოციალისტური" სიტყვები და საჩხარუნებლები ჰქრება, ფაქტები კი, საკმე კი—რჩება...

**ი. სტალინი**

„პრავდა" № 55 და 56.
1918 წ. მარტის 26 (13) და 27 (14).

## ყურადღება საშენ მასალათა მრეწველობას

საშენ მასალათა მრეწველობა ძლიერ ცუდად მუშაობს. მიმდინარე წლის 7 თვის გეგმა შესრულებულია 56 პროც. ცალკე დარგების მიხედვით გეგმა შესრულდა: აგურის—52 პროც., კირის—47,6 პროც., კრამიტის—51,4 პროც., გაჯის—38.3 პროც..

საშენ მასალათა მრეწველობის ასეთი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითადი მიზეზები შემდეგია:

საშენ მასალათა მრეწველობას აქამდე არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამ მრეწველობაში დაბანდებული სახსრები წარსულისა და მიმდინარე წლებში ძალიან მცირე იყო. თუ მთლიანად საქართველოს სახალხო მეურნეობის კაპიტალური დაბანდება 1932 წ. უდრიდა 273.880 ათას მან. მათ შორის საშენ მასალათა მრეწველობის კაპიტალური დაბანდება იყო 3,200 ათასი მან. 1933 წ. სახალხო მეურნეობის კაპიტალური დაბანდება საკონტროლო ციფრებით უდრის 330.380 ათას მან., მათ შორის საშენ მასალათა მრეწველობის—2,500 ათას მან. ანუ 0.7 პროც., მაშინ როდესაც საკავშირო სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებაში საშენ მასალათა მრეწველობის დაბანდების ხვედრითი წონა უდრის 2,2 პროცენტს.

მცირე კაპიტალურ დაბანდებათა გამო, ვერ მოხერხდა დაწყებულ მშენებლობათა და აგრეთვე ნახევრად ექსპლოატაციაში შესული საწარმოთა დამთავრება. ამის შედეგია ის, რომ საწარმოთა ცალკე საამქროებს შორის ადგილი აქვს დიდ შეუსაბამობას. მაგალითად, აგურის ქარხნებში სალუმელე მეურნეობის ნაყოფიერება გაცილებით სჭარბობს საწნეხ და საშრობ მეურნეობათა ნაყოფიერებას. ამ მხრივ ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში, ნოსირის, ტევრის და ღრმა ღელის მექანიზირებული აგურის ქარხნები, რომლებიც საშრობი ფარდულების უქონლობის გამო, დატვირთულნი არიან მხოლოდ 50 პროც. ამ ქარხნების ლუმელების სრული ნაყოფიერება უდრის 22 მილიონ აგურს წლიურად, ფაქტიურად კი უშვებენ 10—12 მილიონ ცალს.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი აგურის სხვა ქარხნებშიც. ტფილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, სტალინისის, სამტრედიის და სხვა აგურის ქარხნებში. მექანიზირებული აგურის ქარხნების თვითეული ლუმელის ნაყოფიერება 22 მილიონ ცალ აგურს უდრის, საშრობების კი—11 მილიონს. ამ მიზეზის გამო ლუმელები 11 თვის მაგივრად წელიწადში მუშაობენ 6—7 თვეს.

სამქროთა ასეთი შეუსაბამობა აიძულებს ქარხნებს იყოლიონ გეგმებზე მეტი მუშახელი, რადგანაც ნახევრად შემშრალი აგური გადააქვთ სამარაგო ფარდულებში, აქედან ლუმელში და სხვა.

ამიერ-კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ ამა წლის ივნისის და ივლისის თვეებში ჩატარებული 14 აგურის ქარხნის პროდუქციის ხარისხის გამოკვლევა ძალიან ცუდ სურათს იძლევა. ღრმა-ღელის და ტევრის აგურის ქარხნების გარდა არცერთი ქარხანა არ იძლევა კარგი ხარისხის აგურს. არც ერთი ქარხნის აგური არ უახლოვდება სტანდარტს. შეკუმშვის წინააღმდეგობა ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე სტანდარტით უნდა იყოს 80—100 კლგ., სინამდვილეში გვაქვს 28—48 კლგრ.

ამითვე აიხსნება აგურის თვითღირებულების ზრდა. ათას ცალ აგურს, დაწესებული ფასის 70—84 მან. მაგივრად, ზესტაფონის აგურის ქარხანა ჰყიდის 150 მან. ქუთაისის აგურის ქარხნები 150 მანეთიდან 200 მანეთამდე; ბორჯომის აგურის ქარხანა 120 მან.-180 მანეთამდე, ხონის აგურის ქარხანა 280 მან. და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივ საშენ მასალათა მრეწველობის დარგში, განსაკუთრებით რაიონებში ადგილი აქვს უსისტემო, უგეგმო მშენებლობას. მაგალითისათვის დავასახელებთ რამოდენიმე შემთხვევა: ლანჩხუთის კირის ქარხანა დაშორებულია რკინის გზის სადგურს 4—5 კილომეტრით, რაც აძვირებს პროდუქციას; ესეც რომ არ იყოს, თვით ლუმელი აშენებულია ნედლეულის ჩამოწოლის მხედველობაში მოუღებლად, რაც იწვევს ბევრ უსარგებლო სამუშაოს შესრულებას. ზესტაფონის აგურის ქარხნის მშენებლობა დაწყებულია უპროექტოდ; ნედლეულის ხარისხი და მარაგი გამოურკვეველია.

აქ მოყვანილი მაგალითები მოწმობს, რომ ადგილობრივ საშენ მასალათა მრეწველობა მოკლებულია სწორ ხელმძღვანელობას და კონტროლს. მიუხედავად სახკომსაბჭოს დადგენილებისა, რაიაღმასკომები ყურადღებას არ აქცევენ მრეწველობის ამ დარგს. გარდა ამისა, რაიონში ერთ ტერიტორიაზე არსებული საშენ მასალათა საწარმოები ეკუთვნიან სხვადასხვა ორგანიზაციას და ისედაც დაქსაქსული წარმოებები ამით უფრო იქსაქსებიან და ძნელდება მათი ხელმძღვანელობის და კონტროლის გაწევა. ქალ. ქუთაისის ერთ უბანში (გოშიაურა) 17 აგურის ქარხანაა და ეკუთვნის 9 სხვადასხვა ორგანიზაციას.

ქუთაისის გამსახლს ექვემდებარება აგურის ერთი დიდი ქარხანა, 5 მილიონი ცალის ნაყოფიერებით წლიურად; ფარდულების უქონლობის გამო 1933 წ. გეგმით ამ ქარხანამ 2 მილიონი ცალი აგური უნდა დაამზადოს მაშინ, როცა დანარჩენი აგურის ქარხნების ნაყოფიერება 3 მილიონამდე აღწევს. ასე, რომ ამ ერთი აგურის ქარხნის სრული დატვირთვა შესცვლიდა ყველა სხვა ქარხანას, გააუმჯობესებდა ხარისხს, შეამცირებდა თვითღირებულებას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ საშენ მასალათა მრეწველობის დარგში შინასაქარხნო და გარეშე ტრანსპორტს. ტრანსპორტის უქონლობის და მოუწყობლობის გამო ფერხდება სხვადასხვა მასალის გადაზიდვა. ხშირად, ტრანსპორტის უქონლობა, იწვევს მზა პროდუქციის ჩაწოლას. სენაკის კირის ქარხანაში, ტრანსპორტის უქონლობის გამო, 15 ივლისისათვის ჩაწოლილი იყო 1.400 ტონა კირი, მაშინ როცა მშენებლობანი კირის ნაკლებობას განიცდიან. ნოსირის და ტევრის აგურის ქარხნები მასალების გადაზიდვას 3—8 კილომეტრის მანძილზე აწარმოებენ ძვირი საჭაპანო ტრანსპორტით, გადიდებულ ფასებში. ტფილისის ვაკის აგურის ქარხნებს ერთი ტონა ქვანახშირის მიტანა უჯდებათ 80 მან.

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოთა მუშაობა ხშირად ფერხდებოდა რკინის გზის მიერ ვაგონების დროზე და საკმაო რაოდენობით მიუწოდებლობით. თითქმის ყველა საწარმოს აკლია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზის რელსები და ვაგონები. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ საწარმოების არა რეგულიარულად მომარაგება სათბობი, საშენი და დამხმარე მასალებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბალი ხარისხის ქვანახშირის მიწოდება. მთელი რიგი ქარხნები ხშირად თვეობით ჩერდებოდენ ქვანახშირის სრულიად უქონლობის გამო (ნოსირის, მოწამეთას და ქუთაისის ქარხნები); მოწამეთის კირის ქარხანა 1933 წლის საანგარიშო პერიოდში [illegible] მიუწოდებლობის გამო არ მუშაობდა 60 დღეს, ნოსირის აგურის ქარხანა ამავე მიზეზით იდგა თებერვალს და ამჟამადაც გაჩერებულია.

ძალიან ცუდად დგას სამეურნეო ანგარიშის გატარების საკითხიც; რაიონული აღმასკომების საშენ მასალათა საწარმოებს აქამდე არ აქვთ დამოუკიდებელი სამეურნეო სახე. ისინი გათქვეფილი არიან სხვა საწარმოებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ საწარმოებს სრულებით არ გააჩნიათ სხვა ორგანიზაციებთან სამეურნეო ხასიათის ხელშეკრულებები, როგორც მა., მუშა-ხელის მიწოდებაზე. სათბობი, დამხმარე და საშენი მასალებით მომარაგებაზე და სხ. ძალიან სუსტია ტექნიკური დანორმვა. თითქმის ყველგან დარღვეულია დაწესებული ნორმები და შეფასებები. ქუთაისის აგურის ქარხნები 1000 ც. აგურის დაყალიბებაზე აძლევენ 18 მან., ზესტაფონის აგურის ქარხანა 20 მან. მაშინ, როცა დაწესებული შეფასება უდრის 6 მ. 74 კაპ.

ადგილობრივი საშენ მასალათა საწარმოები არაა უზრუნველყოფილი სათანადო კვალიფიკაციის კადრებით. ზოგიერთ საწარმოს სრულებით არ ჰყავს ინჟინერ-ტექნიკოსები. არ არის, ან ძალიან სუსტია საგეგმო უჯრედები. ქუთაისის გამსახლის აგურის ქარხნის დირექტორის განცხადებით, მასთან შეთავსებით მუშაობს ერთი ინჟინერ კერამიკოსი, რომელიც სამი თვეა, რაც ქარხანაში არ გამოცხადებულა. ლანჩხუთის რაიონულ აღმასკომის ინჟინერი შეთავსებით მუშაობს ტფილისში და სხ.

ყოველივე აქ ნათქვამი საკმაოა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საშენი მასალათა მრეწველობის ხელშემშლელ მიზეზებზე ადგილობრივ საშენ მასალათა მრეწველობა რომ გამოვიდეს გარღვევიდან და მომავალ წლებში მისი მუშაობა უფრო ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს, საჭიროა:

ა) მძიმე მრეწველობის კომისარიატმა, საგეგმო კომისიასთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად, საჩქაროდ დაამუშაოს ადგილობრივი საშენი მასალების მრეწველობის გეგმიანობის, ხელმძღვანელობის და ოპერატიული მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ბ) შრომის კომისარიატმა გადასინჯოს, თუ როგორ არიან გამოყენებული ინჟინერ-კერამიკოსები სხვადასხვა ორგანიზაციებში და მათი უფრო სწორად განაწილების და გამოყენების მიზნით, დაამუშაოს სათანადო ღონისძიებები.

გ) რაიონში მომუშავე მეგეგმე-ეკონომისტების და საღრიცხვო-საანგარიშო დარგის მუშაკთა მომზადება-გადამზადების მიზნით, მძიმე მრეწველობის კომისარიატმა ამ მოკლე ხანში გახსნას მოკლევადიანი კურსები.

დ) საქ. საგეგმო კომისიამ გადასინჯოს მშენებლობათა ობიექტები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათზე გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებას და მათ ხარჯზე მეოთხე კვარტალში რესპუბლიკაზურ საშენ მასალათა საწარმოებს გაუდიდოს კაპიტალური დაბანდება.

ე) კატეგორიულად დაევალოს სათანადო ბანკებს, არავითარ შემთხვევაში არ გასცენ თანხები ადგილებზე, მძიმე მრეწველობის კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროექტების გარეშე.

ვ) რაიონულმა აღმასკომებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი საშენ მასალათა მრეწველობაზე და მტკიცედ დაიცვან დაწესებული გასაყიდი ფასები და ჭაპანზიდვის ტარიფი.

ზ) მომარაგების კომისარიატმა გააუმჯობესოს მუშების მომარაგება.

თ) მძიმე მრეწველობის კომისარიატმა, რაიონულ აღმასკომებთან ერთად, უზრუნველყოს მოკლე ვადაში საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა.

**აკ. ვეფხვაძე.**

## ტფილისში შენდება საქართველოს მთავრობის სასახლე

ტფილისში დაიწყო საქართველოს მთავრობის სახლის მშენებლობა. აღნიშნულ სახლში პროექტის მიხედვით, მოთავსებული იქნება ყველა სახალხო კომისარიატი, ტრესტები და მთავრობის სხვა დაწესებულებები.

პროექტის განხორციელება შესაძლებლობას იძლევა განთავისუფლებულ იქნას ქალაქში 12,000 კვ. მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებას ამისათვის ნაკლებად შესაფერი შენობები უკავია.

პროექტი დამუშავებულია დახურული კონკურსის შედეგად მოსკოვის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ არქიტექტურის პროფესორის კოკორინის (საკავშირო საარქიტექტურო-სამშენებლო ინსტიტუტის პროფესორის) ხელმძღვანელობით. მთელი კომპლექსი შედგება ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებულ კორპუსისაგან: 1) სასოფლო მეურნეობის სახლი, 2) მრეწველობის სახლი, 3) საქართველოს ცაკი, სახკომსაბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომისია, ფინსახკომი, მუშგლეხინი და 4) საბჭოების ყრილობის დარბაზი.

შენობა შენდება ქალაქის ცენტრში, ყოფილ სამხედრო ტაძრის დაშლის შემდეგ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. ორი კორპუსი ფასადით გამოვა შიო ჩიტაძის ქუჩაზე, ხოლო ორი, სადაც მოთავსდებიან სახკომსაბჭო, ცაკი და საბჭოების დარბაზი—რუსთაველის პროსპექტზე.

პროექტი განხილული და მოწონებულია განსაკუთრებული ჟიურის მიერ მოსკოვში. ჟიურის შემადგენლობა: აკადემიკოსი შჩუსევი და პროფესორები: მაშკოვი, ვესნინი და მიხაილოვი, აგრეთვე არქიტექტორების კომისია ადგილობრივი მუშაკებისაგან. პროექტი დამტკიცებულ იქნა 1933 წლის 13 სექტემბერს.

პირველ რიგში აშენდება ძირითადი საქმიანი კორპუსი (ე. წ. ვ), რომელშიაც უმთავრესად თავმოყრილი იქნება ყველა სახალხო კომისარიატები.

ამჟამად წარმოებს სამუშაო ნახაზების გაცხოველებული დამუშავება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ტფილისის უფრო თვალსაჩინო არქიტექტორები და მხატვრები. მოქანდაკე ნიკოლაძე, მხატვრები გუდიაშვილი, კაკაბაძე, სიდამონ-ერისთავი, და გრინევსკი, არქიტექტორები კალგინი, სევეროვი, ნეპრინცევი, ტერ-მიქელოვი, შავიშვილი და კალაშნიკოვი და ხელოვნებათმცოდნე პროფ. ჩუბინაშვილი.

გარეგნული გაფორმების მხრივ შენობა დამუშავებულია მონუმენტურ ფორმებში, ქართული სტილის ზოგიერთი თავისებურებით. მუშაობა ამ დარგში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

პარალელურად წარმოებს საანგარიშო-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ნიადაგის და საშენი მასალების გამოკვლევა. შენობის შიგნით და გარეთ მორთვისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული სხვადასხვა ქვის საშენი მასალები, რომლებითაც მდიდარია საქართველო,—ცოკოლებისათვის — [illegible] და სხვა გრანიტები და ზესტაფონის რაიონის მტკიცე ქვიშნარი; შიდა კედლებისათვის—ბოლნისის და [illegible] ტუფის [illegible] და ქალარის კირნარი (ქუთაისი), ხოლო სკულპტურული სამუშაოებისათვის—ადვილად დასამუშავებელი ტუფები სხვადასხვა რაიონიდან.

შინაგანი გამართვისათვის გამოყენებული იქნება აგრეთვე ქართული მარმარილოები: თეთრი კახეთის (ლაპოტა), რუხი ძარღვიანი—სადახლოს და ფერადი (შროშა, მოლითითი და სალიეთი).

წარმოებს სამშენებლო მოედნის მომზადება, ადგილობრივი მასალების მომზადება და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა (საწყობები, სახელოსნოები და სხ.).

### სოცშეჯიბრება საქართველო-აზერბეიჯანი

# მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს

## პარტგანათლების ქსელის სწორად დაკომპლექტებას და კვალიფიციური პროპაგანდისტების შერჩევას

## ფართოდ გავშალოთ შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ქსელი

### თათბირი საქ, კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილებაში

ამას წინათ, საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილებაში შესდგა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების რესპუბლიკური კულტპროპთათბირი პარტიული სწავლების საკითხებზე.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპის მოადგილემ ამხ. რ. მელაძემ. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. პოლოსოვის მოხსენება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიული სწავლების მდგომარეობის და ამოცანების შესახებ.

რესპუბლიკური კულტპროპთათბირის შემდეგ, რომელიც ჩატარდა საზაფხულო პარტიული სწავლების დაწყების პერიოდში, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენენ პარტიული სწავლების ქსელის გაშლის საქმეში,—ასე იწყებს თავის მოხსენებას ამხ. პოლოსოვი. საფიქრებელი იყო, რომ ისინი აამაღლებდნენ პარტიული სწავლების ხარისხს და პარტგანათლების ქსელში ჩააბამდნენ მშრომელთა ფართო მასებს. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა, სადაც კი შევამოწმეთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიული სწავლების მდგომარეობის საქმე. მრავალ მიღწევასთან ერთად, რომელიც მოპოვებული გვაქვს პარტწევრ და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ბრძოლაში,—პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობას უამრავი დეფექტი ახასიათებს. ზოგიერთი რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კლასობრივმა მტერმა შეცვალა ბრძოლის მეთოდები; იმათ დაივიწყეს ამხ. სტალინის მითითება, რომ საჭიროა კლასობრივი სიფხიზლის უმაღლეს საფეხურზე აყვანა.

მთელი რიგი რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს პარტიის წმენდის ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაჩაღება და მასთან დაკავშირებით პარტიის თითეული წევრისა და კანდიდატის მარქს-ლენინ-სტალინის თეორიით შეიარაღება; ამიტომ ისინი პარტიული სწავლების საკითხს თვითდინებას აძლევენ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 15 ივნისის დადგენილება სოფლად პარტიული ორგანიზაციის საწარმოო პრინციპების მიხედვით გარდაქმნის შესახებ, გვავალებს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ პარტგანათლების ქსელი, პარტსწავლებაში ჩავაბათ პარტიის წევრთა და კანდიდატთა მთელი შემადგენლობა. მაგრამ ზემოთაღნიშნული დადგენილების პრაქტიკულად გატარებასთან დაკავშირებით პარტიული სწავლების ქსელის გაშლის საქმეში მთელი რიგი შეცდომები იქნა ჩადენილი. ასე, მაგალითად, საკოლმეურნეო უჯრედები მოწყობილი არიან საწარმოო პრინციპების მიხედვით, ხოლო პოლიტსკოლები და წრეები ტერიტორიული პრინციპების მიხედვით. რა თქმა უნდა, მუშაობის ასეთი მეთოდებით ვერ უზრუნველვყოფთ იმ ამოცანების ბოლშევიკურად განაღდებას, რომლებიც დგას პარტიული სწავლების ქსელის წინაშე. პოლიტსკოლებისა და წრეებისადმი ხელმძღვანელობის საკითხი გაუპიროვნებულია, მათ ხელმძღვანელობას უწევს როგორც საწარმოო პრინციპებზე აგებული საკოლმეურნეო უჯრედი, ისე ტერიტორიული უჯრედი; რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეძლებისდაგვარად ცალკე საკოლმეურნეო და ტერიტორიულ უჯრედებთან მოწყობილი იყოს პოლიტსკოლა ან და პოლიტწრე.

შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლების პერიოდში ჩვენს წინაშე საბრძოლო ამოცანად დგას ის, რომ პარტგანათლების ქსელს მივცეთ რაც შეიძლება უფრო მაღალი კვალიფიკაციის პროპაგანდისტები, უნდა გავანაღდოთ ლოზუნგი: „არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი საპროპაგანდო მუშაობის გარეშე". პოლიტსკოლები და წრეები უნდა უზრუნველვყოთ ბინებით, სახელმძღვანელოებით და სათანადო სასწავლო ნივთებით, მთელი ძალები დავრაზმოთ პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის; პარტიულმა კომიტეტებმა და უჯრედებმა სისტემატიურ-კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პოლიტსკოლებსა და წრეებს, მოისმინონ პროპაგანდისტთა მოხსენებები და მისცენ მითითებები მუშაობაში არსებული დეფექტების გასწორებისათვის, პარტიული სწავლებისათვის მუშაობა არაა მარტო კულტპროპმუშაკის საქმე; ეს მთელი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა. პარტიის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ, რათა პარტიის თვითეულმა წევრმა და კანდიდატმა კარგად შეისწავლოს პარტიის წესდება და პროგრამა, თვითეული კომუნისტი უნდა დაეუფლოს მარქსს, ლენინს, სტალინის თეორიას, ამით უნდა ავამაღლოთ პარტიელთა თეორიული მომზადების დონე. გავამახვილოთ კლასობრივი სიფხიზლე, ჩვენი მუშაობის ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად უნდა დავისახოთ, რომ პარტიის არც ერთი წევრი და კანდიდატი არ დარჩეს პარტგანათლების ქსელის გარეშე. პოლიტსკოლების და წრეების ჩამოყალიბების დროს დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ თვითეულ მსმენელსა და ამით უნდა უზრუნველვყოთ პარტიული სწავლების მუშაობის ხარისხი, ვიბრძოლოთ საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის გაშლილ შეჯიბრებაში პირველობის მოპოვებისათვის.

ამხ. პოლოსოვის მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. მზარელუამ (სენაკი), დავითაიამ, კარტავამ (ზუგდიდი), ებრალიძემ (ლანჩხუთი), კვირკველიძემ (ლაითურის საბჭოთა მეურნეობა), ცხვარაძემ (ლანჩხუთი), მამეიშვილმა (ოზურგეთი), კუპრეიშვილმა, ულენტმა და სხვებმა. დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. პოლოსოვი, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის შემკრებ საამქროს პარტუჯრედის მდივანი ამხ. რაზმაძე, რომელიც იბრძვის პარტგა ნათლების ქსელის ფართოდ გაშლისათვის

## როგორ ემზადებიან აბაშის რაიონში

(აბაშა, „კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

აბაშის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე 15 აგვისტოდან ბოლშევიკურად გააჩაღა მოსამზადებელი მუშაობა მარქსისტულ-ლენინური სწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

შედგენილია პარტგანათლების ქსელის გეგმა. 18 აგვისტოს რაიონის ყველა პარტუჯრედში ჩატარდა **ერთიანი პარტიული დღე**, რომელზედაც დამუშავდა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ამოცანები და განხილულ იქნა პარტრაიკომის გეგმა.

სკოლების და წრეების დასაკომპლექტებლად პარტუჯრედებისადმი 14 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები, სულ 38 კაცი.

სპეციალური კომისიის მიერ ჩატარდა პროპაგანდისტების შემოწმება. შერჩეულია 60 პროპაგანდისტი, რომლებიც უკვე მიმაგრებული არიან სკოლებსა და წრებზე.

პროპაგანდისტთა შემადგენლობაში 8 მუშაა, 12 კოლმეურნე—40 მოსამსახურე. უმაღლესი განათლებით 5. საშუალოთი—8, სპეციალური პარტიული განათლებით (პარტსკოლა, კომუნივერსიტ.)—11 და დაბალი განათლებით—36.

პარტრაიკომის მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრის თანახმად, გაიხსნება 63 სკოლა და წრე. აქედან: საკანდიდატო სკოლა 20, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე—10, საღამოს პარტსკოლა 25 და მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი წრე—6,, რომლებშიაც ჩაბმული იქნება—788 მსმენელი, აქედან კომუნისტი—516, უპარტიო დამკვრელი—272.

პარტიული განათლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის გაშლისათვის **გამოცხადებული ერთთვიური დაკავშირებულია საზაფხულო პოლიტსკოლების და წრეების ორგანიზაციულად გამოშვებასთან.**

ზაფხულის პერიოდში გახსნილი იყო საკანდიდატო სკოლა 11, დაწყებითი პოლიტსკოლა—8. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე—8, მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი წრე—1. მასში იყო სულ 404 კომუნისტი და 225 უპარტიო.

როგორი ხარისხით ამთავრებენ საზაფხულო სკოლები მუშაობას? პარტუჯრედის ზოგიერთი მდივნის და თვით პროპაგანდისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური სწავლების შეუფასებლობის შედეგად, მთელი რიგი სკოლებისა და წრეების მუშაობა **სრულიად ჩაიშალა**, ზოგიერთ სკოლაში ჩატარებულია მხოლოდ სამი-ოთხი თუ ხუთი საუბარი.

განა აღმაშფოთებელი არ არის, როდესაც ფასიანმა პროპაგანდისტმა გალაქტიონ **ჭანტურიამ** ჩაშალა სოფ. ხუჯუნაში ტერიტორიულ უჯრედთან არსებული მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის და დაწყებითი სკოლის მეცადინეობა (აქ მთელი ზაფხულის პერიოდში მხოლოდ სამი საუბარი ჩატარდა)?

შეუწყნარებელ უმოქმედობას იჩენდა ს. ახ. აბაშის და დიდქვათანის საკოლმეურნეო უჯრედთან არსებული პირველდაწყებითი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ამხ. ვერა **ლიპარტია**, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში არც ერთი საუბარი არ ჩაუტარებია, მაშინ, როდესაც იგი ამავე დროს პარტუჯრედის მდივნადაც ითვლებოდა.

ასევე მოიქცა რაისამომხმარებლო კოოპერაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი—**კ. ფრანგიშვილი** და საკანდიდატო სკოლის ხელძღვანელი **გრ. ჯიბლაძე**, რომელთა დაუდევრობით აგრეთვე აღნიშნული წრის და სკოლის მუშაობა ჩაიშალა.

ასეთივე უპასუხისმგებლობას იჩენდენ პროპაგანდისტები **ლ. გამსახურდია, შ. ჯიჯეიშვილი, პ. გაგელაია, გრ. ჯიბლაძე და ოლ. ჭანტურია.** ისინი სისტემატიურად აცდენდენ და იგვიანებდენ მეცადინეობაზე.

ამასთან ერთად არიან ისეთი პროპაგანდისტებიც, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, არ აცდენენ მეცადინეობას, ენერგიულად მუშაობენ მსმენელთა პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ასეთები არიან ამხ-ბი: **ვერა ფაჩულია, შ. ლოჩოშვილი, ალ. მიქაძე, ივ. ჯანგველაძე და ბენ. კიზირია.**

დამკვრელ პროპაგანდისტთა და მსმენელთა გამოცდილების პოპულიარიზაციისათვის არ არის მიღებული საჭირო ზომები. სარაიონო გაზეთი **„მშრომელთა ენტუზიაზმი"**-კი ამაზე არ ზრუნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტგანათლების სკოლებსა და წრეებში ფორმალურად იყო გაშლილი სოც. შეჯიბრება. არ მომხდარა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება არ დაჯილდოებულა პარტიული სწავლების არც ერთი მოწინავე დამკვრელი. ეს დიდი ნაკლია. შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების დროს ეს მდგომარეობა აღარ უნდა განმეორდეს.

შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობის საუკეთესო ჩატარებაზე **აბაშის პარტრაიკომმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სენაკის პარტრაიკომი**, დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია:—პარტსწავლებაში ჩავაბამთ კომუნისტებს მთლიანად და უპარტიო აქტივის 60 პროცენტს.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ საკონტროლო ციფრით მოცემულ 30 სკოლის ნაცვლად გავხსნით 64 სკოლას, სკოლების და წრეების დაკომპლექტებას დავამთავრებთ 25 სექტემბრამდე, უზრუნველვყოფთ სკოლებს და წრეებს სახელმძღვანელოებით, სწავლას დავიწყებთ პირველ ოქტომბრიდან.

მიხ. ბრეგვაძე.

### პრესის მიმოხილვა

## ძირეულმა პრესამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტსწავლების ქსელის გაშლაში

### „ბიუგელი" ტრამვაი

„ბიუგელის" რედ. მუშაკებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ პარტიის წევრების, კანდიდატების და უპარტიო აქტივის მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღება პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მათ იციან. აღნიშნული რედაქციის მუშაკები ალბათ წაიკითხავდენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 28 აგვისტოს დადგენილებას შემოდგომა - ზამთრის პარტიული სწავლებისათვის მზადების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის 1 სექტემბრის ნომერში. ამხანაგები „ბიუგელიდან" იმავე დღეს წაიკითხავდენ. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების მეათე პუნქტს, სადაც ნათქვამია:

„ცენტრალურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ „პარტგანათლების ერთთვიურში" და ფართოდ გააშუქონ პრესის ფურცლებზე პარტ - სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობა რეიდის, გამოძახების და სხვ. ორგანიზაციის გზით".

ამრიგად, ცენტრალურ და ადგილობრივ პრესას დაკისრებული აქვს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები. პარტიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა. სკოლების თავის დროზე და სწორად დაკომპლექტებამ, პროპაგანდისტთა შემადგენლობაში ნამდვილად შემოწმებული და გამობრძმედილი ამხანაგების შერჩევა, სახელმძღვანელოების, ლიტერატურის დაყვანა თვითეულ სკოლამდე და მსმენელამდე, სამეცადინო ბინების გამონახვა, პარტ - კაბინეტების ორგანიზაცია — აი ძირითადად ის, რაც უნდა გაკეთდეს მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში.

პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობა უნდა დაიწყოს პირველ ოქტომბერს. სამზადისი მუშაობა შემოდგომა - ზამთრის პარტიული სწავლებისათვის ფართოდ გაიშალა მთელი რიგი რაიონის პარტიული ორგანიზაციები ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს ვალდებულება, რომ საუკეთესოდ მოამზადებენ პარტიული განათლების ქსელს.

რაიონული და ძირეული პრესა სათავეში უნდა ჩადგომოდა ამ მოძრაობას.მუშსელკორთა დარაზმვით, პარტიული სწავლების საკითხების ოპერატიული გაშუქებით, მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების გარშემო ფართო პარტიული მასის ყურადღების მობილიზაციით ძირეულ პრესას დამკვრელი ტემპებით უნდა გაეშალა მუშაობა. სამწუხაროდ, ბევრგან ამას ვერ ვხედავთ: ზოგან რაიონულმა და საფაბრიკო - საქრხნო ნაბეჭდმა გაზეთებმა, რომ არაფერი ვთქვათ კედლის გაზეთებზე, რომელნიც სუსტად აშუქებენ სამზადისს, არჩიეს პარტიული სწავლების საკითხებისათვის დუმილით გვერდის ავლა; მაგ. „ბიუგელის" (ტრამვაის პარტკომის და ადგილკომის ორდღიური ორგანო) ფურცლებზე პარტიული სწავლების შესახებ არაფერი იწერება. დაწყებული 1 აგვისტოდან ათ სექტემბრამდე. „ბიუგელის" კომპლექტში ვერ იპოვით ვერც ერთ წერილს, ვერც ერთ შენიშვნას შემოდგომა - ზამთრის პარტიული სწავლებისათვის მზადების შესახებ.

ტრამვაის პარტიული ორგანიზაცია ემზადება პარტიული სწავლებისათვის. პარტიულ კომიტეტთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც აწარმოებს პროპაგანდისტების შერჩევას, პარტიული განათლების საკონტროლო დავალებანი დაყვანილია თვითეულ პარტიულ უჯრედამდე. ამწყობ საამქროს უჯრედმა 8 სექტემბერს გამოუშვა მიმდინარე პოლიტიკის წრე და იმავე დღეს შეუდგა შემოდგომა - ზამთრის პარტგანათლების ქსელის დაკომპლექტებას: **ყველაფერი ეს ხდება „ბიუგელის" მონაწილეობის გარეშე.** პარტიული სწავლების ასეთი შეუფასებლობა დაუშვებელია.

ამავე დროს კი კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერების და იდეურ - პოლიტიკური ამაღლების მხრივ ტრამვაის პარტიულ ორგანიზაციაში არა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ეს გამომჟღავნდა ამას წინათ ჩატარებულ პარტთათბირზე. ამ თათბირზე მოყვანილი იყო არა ერთი და ორი ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ კომუნისტები არ ასრულებენ ავანგარდულ როლს, სუსტია მათი იდეურ - პოლიტიკური დონე, ბევრ შემთხვევაში ისინი არ იჩენენ კლასობრივ სიფხიზლეს.

„ჩვენდა სასირცხვოდ უნდა ვაღიაროთ, — ამბობს კამათში გამოსული ამხანაგი გულულავა, — პარტიის წევრები არ აკლებენ ხელს სიზარმაცეს, მაგალითად ამხ. სარქისოვს თქვენ ნახავთ ყველგან, გარდა სამუშაო ადგილისა, ის დადის საამქროდან საამქროში, კუთხიდან კუთხეში, საუბრობს, მასლაათობს ხოლო მუშაობით კი არ მუშაობს („ბიუგელი", 1-ლი სექტემბერი).

არ სრულდება საწარმოო - საფინანსო გეგმის არც რიცხობრივი და არც ხარისხობრივი მაჩვენებლები.

„უკანასკნელ თვეში ტრამვაის დიდი ჩამორჩენა აქვს საწარმოო დავალების შესრულებაში. გეგმით გათვალისწინებულ 150 ვაგონის ნაცვლად ივლისში ყოველდღიურად ხაზზე მუშაობდა 136 ვაგონი, 16 საათის ნაცვლად ვაგონის მოძრაობაში ყოფნა უდრიდა 15,2 საათს" (28 აგვისტოს მოწინავე წერილიდან).

ცუდად მუშაობს მიმდინარე რემონტის საამქრო. შეკეთებული ვაგონების გასინჯვა არ ხდება გულდასმით. ამიტომ სამუშაოდ გადის ცუდად შეკეთებული ვაგონები, იგინი მაშინვე ფუჭდებიან და ბრუნდებიან პარკში.

საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულება რომ შეუძლებელია კომუნისტების ავანგარდული როლის და იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლების გარეშე, რომ პარტიული მუშაობის გარდაქმნაში ერთერთი ძირითადი მომენტია პარტიის წევრებისა და კანდიდატების მარქსისტულ ლენინური თეორიით შეიარაღება. —ეს ჭეშმარიტება „ბიუგელისათვის" ალბად ნათელი არ არის.

სწორედ იმის გამო, რომ გეგმების შესრულებაში ასეთ გარღვევებთან გვაქვს საქმე, „ბიუგელს" უფრო მეტად, ვიდრე სხვა გაზეთებს, მოეთხოვებოდა პარტიული ორგანიზაციის ყურადღების გამახვილება შემოდგომა - ზამთრის პარტიული სწავლების ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის, სინამდვილეში ჩვენ ამას არ ვხედავთ. ამხანაგებმა „ბიუგელიდან" ეს ჩამორჩენა უნდა გამოასწორონ.

სწავლების დაწყებამდე დრო ცოტა დარჩა. „ბიუგელმა" პირი უნდა იბრუნოს მარქსისტულ - ლენინური სწავლებისაკენ.

ადგილობრივი დეპოს პარტუჯრედის მდივანი ამხ. ჯალაბრიშვილი პარტორგანიზატორებთან ერთად კითხულობს დადგენილებას შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ქსელის გაშლის შესახებ

### 1911 წ. დაბადებულთა გაწვევის წინ

# სამტრედიის, მარტვილის და ჭიათურის განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს წ.-კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია წვევამდელთა შორის

## აღმოვფხვრად წვევამდელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შეუფასებლობა

გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია ერთერთი ძირითადი პირობაა გაწვევის წარმატებით ჩასატარებლად. წითელი არმიისათვის წერა-კით. კარგად მცოდნე შევსების მიცემა უზრუნველყოფს საბრძოლო კოლექტიური სწავლების მაღალ საფეხურზე აყვანას. ამიტომ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუშაობა უნდა გაეჩაღებიათ და მიეღოთ ზომები, რათა არც ერთი წ.-კ. უცოდინარი წვევამდელი არ დარჩენილიყო ლიკპუნქტებზე მიუწერელი. ამ მიმართულებით ფართოდ გაიშალა მუშაობა, ჩამოყალიბდა ლიკპუნქტების ქსელი, შეუდგენ მეცადინეობას და რამოდენიმე ათასეულმა უცოდინარმა უკვე შეისწავლა წერა-კითხვა. მაგრამ ამ წარმატებასთან ერთად ჩვენ გვაქვს ისეთი რაიონები, სადაც წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისადმი ერთგვარ შეუფასებლობას აქვს ადგილი.

შემოწმება, რომელიც საქართველოს სამობილიზაციო ოლქმა ჩაატარა და ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები მოწმობს, რომ დღემდე რაიონების უმეტესობას არ დაუმთავრებია გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია.

განსაკუთრებით ჩამორჩება სამტრედიის, მარტვილის და ჭიათურის რაიონები, ეს აიხსნება აღნიშნულ რაიონების განათლების განყოფილებების უმოქმედობით, რომლებმაც მოახდინეს წერა-კით. უცოდინართა საერთო აღრიცხვა, დაუგზავნეს ადგილებს დირექტივა ლიკპუნქტების გახსნის შესახებ და ამით ამოწურეს თავისი საქმიანობა. ხოლო თუ როგორ მიმდინარეობდა ლიკპუნქტებში მეცადინეობა, როგორი იყო დასწრება, მეცადინეობის ხარისხი და სხვა, ამაზე არავის უფიქრია, საერთოდ სუსტი იყო ცოცხალი ხელმძღვანელობა, შესრულებათა შემოწმება და კონტროლის საქმე.

მაგალითად, ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილებას არ მოეპოვება ცნობა, თუ რამდენმა წვევამდელმა შეისწავლა წერა-კითხვა, მიწერის დროს კი მათი რიცხვი 84 კაცს უდრიდა.

**სამტრედიის** რაიონში გასაწვევთა შორის ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი წ.-კ. უცოდინარობა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან **კულაშის** და **დიდი-ჯიხაიშის** სასოფლო საბჭოები. ანალოგიური მდგომარეობაა **მარტვილის** რაიონის ზოგიერთ სოფელშიაც.

გასაწვევთა შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. სამხედრო კომისარიატ. ადგილობრივი პარტ. ორგანიზაციების დახმარებით უნდა შეამოწმონ ადგილებზე ჩატარებული მუშაობა და მიიღონ ზომები გაწვევის ჩამორჩენილი უბნების გამოსასწორებლად.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეული სამხედრო კომისარიატს თავის მუშაობის ძირითად ფაქტორად ექნეს აღებული უშუალოდ ქარხანა, კოლმეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური და სხვ. სამხედრო კომისარიატი უნდა იცნობდეს თავის წვევამდელებს, თვითეულ მათგანზე უნდა ექნეს დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორია მისი სოციალური მდგომარეობა, წარმოშობა, განათლება და სხვ. არის თუ არა ჩაბმული გასამხედროების და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში, იცოდეს ცოდნის შეთვისების შედეგი. ასეთ პირობებში ზემოხსენებულ მოვლენებს ადგილი აღარ ექნება და გაწვევის მიწურულში არ გამომჟღავნდება ისეთი ფაქტები, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოუფხვრელობა.

ს. ბოლ—ძე.

## არც ერთი უცხო ელემენტები—წითელ არმიაში

(ქუთაისი)

ანტისაბჭოთა ელემენტების შესწავლა-გამომჟღავნების საქმეში აქტიურადაა ჩაბმული ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია. მ-სი უშუალო მონაწილეობით 1 სექტემბრისათვის შესწავლილი და გამომჟღავნებული იყო 78 ანტისაბჭოთა და წითელ არმიისათვის მიუღებელი ელემენტი, რომელთა სია გადაეცა რაიონის გაწვევ კომისიას ზურგის ლაშქარში, მათ გადასარიცხავად. თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით სასწავლო წერტებზე გატარებულია და 120 საათიან პროგრამით სწავლება დაამთავრეს გეგმით გათვალისწინებული გასაწვევ კონტინგენტის 95 პროცენტმა.

წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის რაიგანათლების განყოფილებას დროულად მიეცა დირექტივა ს.კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მიერ, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საბოლოო ვადად მიჩნეული იყო 1 აპრილი. მიუხედავად ამისა, წერა-კით. უცოდინარობა საბოლოოდ დღესაც არ არის აღმოფხვრილი. ქალაქის სექტორში 1 სექტემბრისათვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია მიღწეულია მხოლოდ 85 პროც. ხოლო სოფლის სექტორში ამ საქმეს აგვისტოში შეუდგნენ და ზოგიერთ სოფელში ჯერაც არ დაწყებულა.

გაწვევის დამხმარე კომისიასთან ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადა 12 კაცის შემადგენლობით, რომელიც დახმარებას უწევს კომისიის მუშაობაში.

შ. დვაძე.

## ასწორებენ არსებულ ნაკლოვანებებს

(ტფილისის სამხედრო კომისარიატი)

1911 წელს დაბადებულთა გაწვევის ხელისშემწყობი მთავრობის კომისიის უკანასკნელი დადგენილების საფუძველზე ტფილისის სამხედრო კომისარიატმა გააჩაღა მუშაობა და ბოლშევიკურად შეუდგა ამ დადგენილების განხორციელებას.

გაწვევის ირგვლივ წარმოებული მუშაობის ადგილობრივ შემოწმების მიზნით, მსხვილ წარმოება-დაწესებულებებზე მიმაგრებულია სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები და სამხედრო ინსპექტორები, რომლებიც უწევენ მათ ცოცხალ ხელმძღვანელობას და ეხმარებიან ჩამორჩენის გამოსწორებაში.

ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით გაიშალა აგიტმასობრივი მუშაობა, მშრომელთა ფართო მასებს განემარტათ წითელი არმიის დანიშნულება და გაწვევის ამოცანები. გამახვილებულ იქნა ყურადღება სამხედრო სკოლების შევსების ირგვლივ. შედეგიც უკვე თვალსაჩინოა. ტფილისის სამხედრო კომისარიატმა გამოასწორა ჩამორჩენა. ტფილისის რაიონში სამხედრო სკოლებისათვის შერჩეულია 80 კანდიდატი, რომლებიც წარმოების საუკეთესო დამკვრელები არიან და სავსებით აკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ პირობებს.

დიდი გარდატეხაა მიღწეული წვევამდელთა შორის სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ამხ. დავითაშვილის მუშაობა, რომელმაც მოიწვია რაიონების და წარმოება-დაწესებულებების ექიმები, გააცნო მათ გასაწვევთათვის სანიტარული მომსახურების მნიშვნელობა და მოუწოდა, რომ გასაწვევ ახალგაზრდობისათვის გაეწიათ მეთვალყურეობა. ამხ. დავითაშვილმა თათბირზე შეიტანა წინადადება, რომ თუ აღრიცხვაზე აყვანილი არ გამოცხადდებოდა საექიმო პუნქტზე ან ამბულატორიაში, ექიმებს თვით ეძებნათ წვევამდელთა ბინებზე და იქ გაეწიათ მათთვის სათანადო დახმარება. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ამ წინადადების საფუძველზე ექიმებმა გააჩაღეს მუშაობა. შედეგი კარგია. შეკავშირებულ სექტორიდან ყველა წვევამდელმა გაიარა მუცლის ტიფის და ყვავილის საწინააღმდეგო აცრა. დაავადებულებს ეწეოდათ სისტემატიური დახმარება და მკურნალობა. ექიმთა შორის აღსანიშნავის სტალინის რაიონის ექიმი ამხ. ჩიქვაიძე, რომელიც დაუზარებლად დადიოდა წვევამდელთა ბინებზე და არც ერთი მათგანი არ დაუტოვებია მეთვალყურეობის და სანდამუშავების გარეშე.

12 სექტემბერს ჩატარდა წვევამდელთა ერთიანი დღე. ამ დღეს ტფილისის ყველა კლუბებში და ბაღებში მოეწყო წვევამდელთა შეკრებები, ჩატარდა საუბრები წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის გამტკიცების ამოცანებზე. შეკრებები წარმატებით ჩატარდა და წვევამდელთა შორის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. კლუბებსა და ბაღებში მოწყობილი იყო ცნობათა მაგიდები, სადაც წვევამდელებს ყველა შეკითხვებზე აძლევდენ ამომწურავ პასუხს. მუშაობდა აგრეთვე აგიტატორთა ჯგუფი რომლებიც ამახვილებდნენ წვევამდელთა ყურადღებას მორიგ გაწვევის წარმატებით ჩატარების ირგვლივ და აცნობდენ მათ მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს.

ყველა პარტიულმა, პროფკავშირულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები შერჩეულ იქნენ შესაფერისად და წითელი არმიის რიგებში არ მოხვდენ კლასობრივად უცხო ელემენტები. ამიტომ საჭირო იყო თვითეული გასაწვევის სოციალურ-კლასობრივი შესწავლა და მასზე ისეთი დახასიათების შედგენა რომელიც გამოხატავდა წვევამდელის ნამდვილ პოლიტიკურ და მორალურ თვისებებს. ეს დახასიათება რაიონებს უნდა წარედგინათ სამხედრო კომისარიატისათვის. წარდგენის ვადა, პირველი სექტემბერი, კარგა ხანია გავიდა, მაგრამ დახასიათებათა შედგენის მოთავებას ბოლო არ უჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩება ორჯონიკიძის და ლენინის სახელობის რაიონები, მათ დღემდე არ წარმოუდგენიათ დახასიათებანი თავიანთი რაიონების წვევამდელებზე, რითაც აფერხებენ წვევამდელთა კლასობრივი შერჩევის საქმეს და ართულებენ გაწვევის კომისიის მუშაობას. ამასთანავე წერა-კითხვის უცოდინარობა „26" კომუნარების რაიონში მთლიანად არ არის აღმოფხვრილი.

აი ეს ნაკლოვანებანი, რომელნიც ტფილისის სამხედრო კომისარიატმა დაკვრითი წესით უნდა გამოასწოროს და ყოველმხრივ მზად შეხვდეს მორიგ გაწვევას.

ხ. ბ.

## ეხმარებიან წითელ არმიელთა ოჯახებს

(ს. აკეთი, ლანჩხუთის რაიონი)

1911 წელს დაბადებულთა წითელ ჯარში გაწვევისათვის სამზადისი აკეთის სასოფლო საბჭოში წარმატებით მიმდინარეობს. ჩამოყალიბებულია გაწვევის ხელისშემწყობი შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს გაწვევის სამზადისს. წვევამდელებთან კვირაში ერთხელ ტარდება სამხედრო-პოლიტიკური მეცადინეობა.

აღსანიშნავია ექიმ მ. კიკვიძის საქმიანობა. მას ყველა გასაწვევი აყვანილი ჰყავს ზედამხედველობის ქვეშ, უწევს საექიმო დახმარებას და მართავს საუბრებს სანიტარულ თემებზე.

სასოფლო საბჭომ მიმდინარე გაწვევის კამპანიასთან დაკავშირებით გააძლიერა მზრუნველობა წითელარმიელების ოჯახებისადმი. გარდა იმ შეღავათებისა, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული კანონის მიხედვით, წ-არმიელების გ. ბერაძის, ვ. წულაძის და შ. წულაძის ოჯახის წევრებს დაურიგდათ თითო ფუთი ხორბალი.

აკეთის სას. საბჭოში სულ 15 წვევამდელია, მათ შორის 5 მცირემცოდნე. მცირემცოდნეებზე მიმაგრებული არიან მასწავლებლები. მათ მეცადინეობას ხელს უშლის ზოგიერთი წვევამდელის უპასუხისმგებლობა. მეცადინეობას არ ესწრებიან ნიკო ჯაში და კ.კ. წევრი გაიოზ ვადაჭკორია.

აკეთი მომზადებული ხვდება გაწვევას და წითელ არმიას ღირსეულ შევსებას მისცემს.

იშ. ჩ—ძე.

## საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების შესახებ

### სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომსართა საბჭოს დადგენილება

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ უდიდეს მიღწევებს საფაბრიკო საქარხნო შეგირდობის სკოლებისას, რომლებმაც განვლილი ხუთწლედში მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის ნახევარ მილიონზე მეტი კვალიფიციური მუშა მოამზადეს.

ამასთან ერთად, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების მუშაობაში არის მთელი რიგი მსხვილი დეფექტები: სწავლების ვადა მეტად გრძელია და ხშირად ერთნაირია მარტივ და რთულ სპეციალობათათვის; სასწავლო გეგმები დატვირთულია მოსაზღვრე საგნებით ძირითადი სპეციალობის საზიანოდ; ზოგიერთი კვალიფიკაციის მუშების მომზადება წარმოებს ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება წარმოების მოთხოვნილებებს და სხვ.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო უმთავრეს დეფექტად თვლიან იმ გარემოებას, რომ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების კურსდამთავრებულნი არ რჩებიან წარმოებაში; კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი გვერდს უვლის წარმოებას, მიდის მუშფაკებსა, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ, რომ მუშათა კლასის გაზრდილმა კულტურულმა დონემ, შვიდწლის საყოველთაო და დაწყებითი პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებამ ძირითად სამრეწველო ცენტრებში და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართოდ გაშლილმა ქსელმა შექმნეს პირობები საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების საფუძვლიანად გარდაქმნისათვის, მათი გადაქცევისათვის მასობრივ სპეციალობათა კვალიფიციური მუშების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სკოლებად, რომლებშიაც სწავლების მოკლე ვადა ექნებათ.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოისპოს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის კურსდამთავრებულთა სასწავლებლებში (ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები) გადასვლის პრაქტიკა.

დაწესდეს, რომ თვითეული საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის კურსდამთავრებული მოვალეა, სათანადო სამეურნეო ორგანიზაციის მითითებით, იმუშაოს წარმოებაში არა ნაკლებ სამი წლისა თავისი სპეციალობის მიხედვით.

2. შემცირდეს სწავლების ვადა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში მასობრივი სპეციალობის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად 2 წლიდან 6 თვემდე.

მუშათა ცალკე უფრო კვალიფიციური ჯგუფების მოსამზადებლად დაშვებულ იქნას სწავლების ერთწლიანი ვადა.

დაევალოს სამეურნეო სახალხო კომისარიატებს, პროფესიულ კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით დააწესონ სწავლების ვადის ხანგრძლიობა სხვადასხვა სპეციალობათათვის.

3. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების წინად მიღებულ მოსწავლეთათვის, რომელთაც ამ დადგენილების გამოქვეყნების მომენტისათვის ვერ მოასწრეს სწავლების კურსის დამთავრება, დაწესდეს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების დამთავრების შემდეგი ვადები: სწავლების ექვსი თვის ვადიან სპეციალობათათვის—3 თვის შემდეგ, სწავლების ერთწლიანი ვადის სპეციალობათათვის 6 თვის შემდეგ.

4. დაევალოს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს—გარდაქმნან 1933 წლის 1 ოქტომბრისათვის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების ყველა პროგრამა და სასწავლო გეგმა იმ ანგარიშით, რომ მთელი სასწავლო დროის 80 პროცენტი მოხმარდეს შეგირდის უშუალო სწავლებას დაზგასთან სპეციალობის მიხედვით დანარჩენი დრო თეორიულ სწავლებას, უშუალოდ დაკავშირებულს შესასწავლ სპეციალობასთან. გამორიცხონ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების სასწავლო გეგმებიდან და პროგრამებიდან იმ მოსაზღვრე საწარმოო სამუშაოთა შესწავლა, რომელნიც არ ეკუთვნიან მოცემულ სპეციალობას.

შემცირდეს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების მოწაფეების მიერ მათი სპეციალობის მიხედვით შესასწავლი ოპერაციების რაოდენობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითეული მოწაფის მიერ პროფესიული ჩვევების მტკიცედ შეთვისება მისი სპეციალობის ძირითად უმნიშვნელოვანეს ოპერაციების მიხედვით.

საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების მოწაფეთა პოლიტსწავლებას ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომკავშირის წრეებში საზოგადოებრივი მუშაობის წესით ორგანიზაციები უნდა ატარებდენ და იგი სასწავლო პროგრამაში არ უნდა იქნას შეტანილი.

5. შეწყდეს ისეთ სპეციალობათა მუშების მომზადება საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში, რომელთაც არ ესაჭიროებათ სპეციალური სასკოლო მომზადება, აგრეთვე ისეთი სპეციალობებისა, რომელთაც განსაკუთრებით ხანგრძლივი მომზადება და დიდი პრაქტიკული გამოცდილება ესაჭიროებათ (დაზგების, ავტომატების გამწყობნი, სატურბინო ძრავების მემანქანეები, ქიმიკოს - ლაბორანტები, მაღაროების გამთხრელნი, ბამბეულის მრეწველობის ყველა საამქროს ქარგლები და სხვ.)

6. დაწესდეს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში მისაღებთათვის ასაკი არა უმცირეს 15—16 წლისა.

7. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში მიღებულ უნდა იქნან მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა, პირველ რიგში მოცემულ საწარმოს დამკვრელთა, ყველაზე უფრო ბეჯითი და დისციპლინირებული ბავშვები, უმთავრესად შვიდწლედ დამთავრებულნი, რომელნიც მიისწრაფვიან საწარმოში მუშაობისაკენ.

8. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში მიღებულთა განაწილება სპეციალობათა მიხედვით დაევალოს საწარმოთა დირექტორებს, რომლებმაც უფრო კვალიფიციურ სპეციალობებზე უნდა გაგზავნონ საუკეთესო მოზარდნი.

9. დაწესდეს, რომ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლა წარმოადგენს ქარხნის შემადგენელ ნაწილს (ემორჩილება უშუალოდ ქარხნის დირექტორს, ტრანსპორტზე—გზის უფროსს).

სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში კურსდამთავრებულთა ნაწილი გაგზავნოს სხვა საწარმოებში.

საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის მთელი მუშაობისათვის (საწარმოო და თეორიული სწავლების დაყენება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ორგანიზაცია, მოსწავლეთა მომარაგება) პასუხს აგებს საწარმოს დირექტორი. სახალხო კომისარიატს ეკისრება პროგრამების დამუშავების მეთოდური ხელმძღვანელობა, მათი განხორციელებისათვის თვალყურის დევნება, მიღების და საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების დაფინანსების გეგმის შემუშავება, მისი წარდგენა ს.ს.რ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოსთვის დასამტკიცებლად.

10. დაწესდეს, რომ საუკეთესო, ყველაზე უფრო ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფეები, რომლებმაც ვადამდე შეითვისეს საჭირო საწარმოო ჩვევები და რომელნიც იძლევიან პროდუქციას მოზრდილი მუშის საათობრივი ნორმების მიხედვით, ხელფასს უნდა ღებულობდენ მუშათა საერთო ხელფასის განაკვეთის ცხრილის მიხედვით სამუშაოს თანრიგი სამებრ.

11. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებს, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსა, საკავშირო ა.ლ.კ.კ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და ს.ს.რ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, დეკადის ვადაში დააწესონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელნიც 1933 წელს მიღებულ უნდა იქნან საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ვ. კუიბიშევი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1933 წლ. 15 სექტემბერი.

# დაიწყო ლეიპციგის პროცესი რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმეზე

**ბერლინი**, 21 სექტემბერი. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგ“-ი იუწყება, რომ ლეიპციგში მოედანი უზენაეს სასამართლოს წინ უკვე დილიდანვე ალყაშემორტყმულია და დახურულია მოძრაობისათვის. თვით სასამართლოს შენობაში დაყენებულია პოლიციელთა მრავალრიცხოვანი რაზმები. ვან-დერ-ლუბეს იცავს ოფიციალური დამცველი ზოიფერტი, რეიხსტაგის კომფრაქციის თავმჯდომარეს ამხ. ტორგლერს—ზაკი და ბულგარელ კომუნისტებს — **დიმიტროვს, პოპოვს და ტანევს—ტეიხერტი.** პროცესში მონაწილეობას იღებენ ჰოლანდიელი და ბულგარელი თარჯიმანები.

ამხ. ტორგლერი

სხდომა გახსნა სასამართლოს თავმჯდომარემ **ბიუნგერმა,** რომელმაც განაცხადა, რომ „თავისთავად ცხადია, განაჩენის გამოტანის დროს სასამართლო მხედველობაში მიიღებს იმას, რაც გამოირკვევა გერმანიაში, და არა იმას, რაც მიღებულ იქნება გარედან“. ამგვარად, დამცველებმა კიდეც რომ მოინდომონ ცეცხლის წაკიდების შესახებ საზღვარგარედ შეკრებილი ცნობების გამოყენება, ამ ცდას წინდაწინვე უარყოფს სასამართლო, თუმცა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ბრალდებულთა დაცვა უდაოდ თავისუფალია“.

ბრალდებულთა სახელობით გამოძახების შემდეგ გამოქვეყნდა ბრალდება. ბრალდებულებს მიაწერენ იმას, რომ 1933 წლის 25 და 27 თებერვალს მათ სცადეს „ძალდატანებით შეეცვალათ გერმანიის კონსტიტუცია“, რომ „წინასწარი განზრახვით ცეცხლი წაუკიდეს რეიხსტაგის შენობას“, და რომ ვან-დერ-ლუბეს განზრახული ჰქონდა ცეცხლი წაეკიდებია საზოგადოებრივი კვების ნეიკელნის სახლისათვის, აგრეთვე ბერლინის სასახლისათვის. პროცესის შედეგის მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ საბრალმდებლო დასკვნა, სხვათა შოლიც ამ საქმეზე აწარმოებდა საპოლიციო სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანის მეთოდის შესახებ. პირველ სხდომაზე გამოწვეულ იქნა 6 მოწმე. 22 სექტემბერს გამოწვეულ იქნება ბერლინის სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი გეისაგი, რომელიც ამ საქმეზე აწარმოებდა საპოლიციო გამოძიებას და რომელსაც გაზეთი ერთ-ერთ მთავარ მოწმედ სთვლის.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროცესზე „მეთვალყურის სახით“ იმყოფება პრუსიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

ვოლფის სააგენტოს ცნობით ვან-დერ-ლუბე პროცესზე მოჰყავთ პატიმრის ტანისამოსში და ხელის ხუნდებით. კომუნისტები ტორგლერი, დიმიტროვი, პოპოვი და ტანევი—თავიანთი ტანისამოსში; მათ არა აქვთ დადებული ხუნდები.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, შესავალ სიტყვაში სასამართლოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლომ დამცველად არ დაუშვა არც ერთი უცხოელი ვექილი, რადგან, მისი, თავმჯდომარის რწმენით, ეს ვექილები „არ იყვნენ თავისუფალი განზრახვისაგან დაეთესათ უნდობლობა გერმანიის სუვერენული სამართლისწარმოების წინააღმდეგ“ (ადს).

**ბერლინი**, 21 სექტემბერი. 21 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ლეიპციგში დაიწყო პროცესი რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმის გამო. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ გადმოცემით, პროცესზე დაშვებულია 82 უცხოელი და 41 გერმანელი კორესპონდენტი. ამდენი უცხოელი ჟურნალისტის, მათ შორის პატარა გაზეთების მრავალი წარმომადგენლის დაშვება, განსაკუთრებით ნათლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის პრესის წარმომადგენლების დემონსტრატიულად არდაშვება წარმოადგენს საბჭოთა პრესის პირდაპირ პოლიტიკურ დისკრიმინაციას. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ გადმოცემით, პროცესი დამთავრდება მხოლოდ ნოემბერში.



ამხ. პოპოვი

ფაშისტური პრესის უკვე პირველი წერილები პროცესის გამო უდაოდ ხდიან, თუ როგორია ამ პროცესის ნამდვილი ხასიათი. მაგალითად, „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ პროცესზე, ალბათ, განხილული იქნება რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების არა მარტო კონკრეტული საკითხი. არამედ „კომუნისტური გადატრიალების გეგმების მთელი ერთობლიობა“, ფაშისტური პრესა განსაკუთრებით ცდილობს დაარწმუნოს სხვა კაპიტალისტური ქვეყნები, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმს მისი „დამსახურებისათვის“ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი მსოფლიო, — სწერს „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“, — პროცესის მიხედვით დაინახავს, თუ როგორ ახლოს იყო გერმანია ბოლშევიკურ უფსკრულთან და რა სამსახური გაუწია ჰიტლერის მთავრობამ არ მარტო გერმანიას, არამედ მთელ დანარჩენ ევროპას და მთელს მსოფლიოსაც“.



ამხ. დიმიტროვი

„პროცესისათვის მზადების“ წესით, პროპაგანდის მინისტრმა ბადემ ლეიპციგში გამართა პროცესზე დაშვებული პრესის წარმომადგენლების მიღება. მიღების დროს გამოვიდა პროკურორი პარაზიუსი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მისი სიტყვის შინაარსი გამოიხატებოდა იმის მტკიცებაში, რომ „გერმანიის მოსამართლეები დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს“. კერძოდ, პარაზიუსმა აღნიშნა, რომ განაჩენები უზენაესი სასამართლოისა, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს პირველ და უკანასკნელ ინსტანციას, არ შეიძლება გასაჩივრებული იქნას. იუსტიციის მინისტრმა ფრანკმა გამოსთქვა აღშფოთება უცხოეთის პრესის განცხადებების გამო იმის შესახებ, რომ პროცესის მსვლელობის დროს მთავრობის ორგანოები ვითომ ზეგავლენას ახდენდენ სასამართლოზე. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ „როგორც ჩანს, კომუნისტურ ელემენტებს სურთ გამოიყენონ პროცესი თავისი გამოსვლებისათვის. ლეიპციგის ზოგიერთ რაიონში ცდილობდენ გაევრცელებიათ არალეგალური მოწოდებანი სათაურით — „იხსენით ტორგლერი“. პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა და მიიღო სათანადო ღონისძიებანი უზენაეს სასამართლოს შენობის დასაცავად“ (ადს).

### გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდი ნერვიულობაა

**ლონდონი**, 21 სექტემბერი. „ნიუ ქრონიკლი“ ბერლინიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ „ლეიპციგში პროცესზე პოლიციის საიდუმლო აგენტები შერეული იქნებიან ჟურნალისტებსა და დამსწრე საზოგადოებაში“. „მანჩესტერ გარდიან“-ი იუწყება, რომ ერთერთმა ჰოლანდიელმა როგორც ჩანს, ჰოლანდიის მთავრობის დავალებით, საპატიმროში ინახულა ვან-დერ-ლუბე. მისი სიტყვით, ვან-დერ-ლუბემ მასზე ნახევრად იდიოტის შთაბეჭდილება დასტოვა. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ხელისუფლება აქამდის ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რათა გამოძებნოს ახალი მოწმეები. მოწმეების რიცხვი 120-მდე აღწევს. მათი ორმხრივი დაკითხვა ყოველდღე საათობით გრძელდება. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდი ნერვიულობაა ობერფორენის მემორანდუმის გამო. ამას წინათ მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა ცნობილ დიპლომატს განუცხადა, რომ მემორანდუმში ბევრი ისეთი ფაქტია, რომელიც შუქს ფენს რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმეს (ადს).

ამხ. ტანევი

## კომპარტია აბსოლუტურად უარყოფს პროვოკაციებს და ინდივიდუალურ ტერორს

### გერმანიის კომპარტიის ც. კ-ის განცხადება

**პარიზი**, 21 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის ც. კ-მა საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიაში გაგზავნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნაციონალ-სოციალისტების მიერ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება უნდა ყოფილიყო სიგნალი კომპარტიის დასარბევად, და რომ გერმანიის პრესა ავრცელებდა ყალბ ცნობებს „კომპარტიის პუტჩისტური გეგმების“ შესახებ. ამ ცნობების მიზანი იყო, ნათქვამია განცხადებაში, ფაშისტური ტერორის გამართლება. გერმანიის კომპარტია აბსოლუტურად უარყოფს პროვოკაციებს და ინდივიდუალურ ტერორს, როგორც ბრძოლის მეთოდს. განცხადება ამტკიცებს, რომ **ხანძრის ინსპირატორები იყვნენ ნაციონალ-სოციალისტები.** შემდეგ გამოთქმულია რწმენა, რომ გერმანიის პროლეტარიატის მასობრივი რევოლუციური ბრძოლა, სოციალ-დემოკრატი და კომუნისტი მუშების ბრძოლა მთლიანი ფრონტით, სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობის მიუხედავად, საშუალებას მისცემს გერმანიის მშრომელთა თავიდან **აიცილონ ფაშისტების ახალი ბოროტმოქმედებანი და, პირველ რიგში, შურისძიება ამხ. ტელმანის მიმართ** (ადს).

## გერმანიის კომპარტია საბრძოლო პოსტზე

**ლონდონი**, 21 სექტემბერი. ლიბერალური ყოველკვირეული ჟურნალის „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშენ“-ის კორესპონდენტი, რომელიც კარგად გაცნობილია საკითხს სწერს:

„გერმანიის კომუნისტური აპარატი, რომელიც წლების განმავლობაში ემზადებოდა არალეგალური მუშაობისათვის, მიუხედავად ტერორისა, 80 პროცენტით ხელუხლებელი დარჩა. თვით სოფლურ, პოლიტიკურად კონსერვატიულ ადგილებშიაც კი, როგორიცაა მაგ. მეკლენბურგი, წინანდელი კომუნისტური ორგანიზაციების 70 პროცენტმა განაახლა მუშაობა. ნაციონალ-სოციალისტურმა ტერორმა შესძლო მხოლოდ გაენადგურებია ძირეული, ადგილობრივი კომიტეტები, რომელთა შემადგენლობას ნაციონალ-სოციალისტები კარგად იცნობდენ. პირიქით, საშუალო რგოლები, რაიონული კომიტეტები უმეტეს შემთხვევაში გადარჩენ; ცენტრალური კომიტეტი შეუფერხებლად განაგრძობს მუშაობას. ამავე დროს, მაისიდან აგვისტომდე აღდგენილ და რეორგანიზებულ იქნენ დაშლილი ძირეული რგოლები, საქარხნო უჯრედები და ადგილობრივი ორგანიზაციები ყველგან არჩევდენ ახალ ხელმძღვანელებს ახალი კადრებიდან. ამ ადამიანების გმირობა და თავგანწირვა აღიარებულია მთელი გერმანიის მიერ, თვით ნაც.-სოციალისტების მიერაც კი. ისინი იჩენდენ მომზიდველობის ისეთ ძალას, რომლის მსგავსი კომუნისტებს, შეიძლება, არასოდეს არ გამოუმჟღავნებიათ გერმანიაში. სოციალ-დემოკრატები გაიყვნენ ორ ბანაკად—ლიკვიდატორთა და კომუნისტებთან ძველი მთლიანი ფრონტის მონაწილეთა ბანაკად. ლიკვიდატორები წარმოადგენენ ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიული და პროფკავშირული ბიუროკრატიის დიდ ნაწილს, რომელიც აშკარად გადავიდა ნაციონალ-სოციალისტების მხარეზე“. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სოციალისტი მუშების და ახალგაზრდობის გადასვლა კომუნისტების მხარეზე დიდი სისწრაფით ხდება. „მთლიანი ფრონტის ლოზუნგი მრავალი ფორმით ხორციელდება. ბრძოლა ჰიტლერის საწინააღმდეგო რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის ახალ სტადიაში გადავიდა. კომუნისტებმა დიდათ გაუსწრეს სოციალ-დემოკრატებს და ალბად შემდეგშიაც განაგრძობენ მათი გავლენის გაქარწყლებას“ (ადს).

II

* * *

## დოლფუსის მთავრობის რეორგანიზაცია

### დოლფუსმა ხელთ იგდო მთელი სახელმწიფო და აღმასრულებელი ძალა-უფლების ხელმძღვანელობა

**ვენა**, 21 სექტემბერი. მთავრობის კრიზისი გათავდა იმით, რომ მთავრობიდან ჯერ-ჯერობით გაძევებულ იქნა კულაკური ლანდბუნდის წარმომადგენელი, ვიცე-კანცლერი **ვინკლერი,** აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალური პარტიის ბელადი — სამხედრო მინისტრი **ვოგუენი.** ეს უკანასკნელი წინააღმდეგობას უწევდა ხეიმვერის მოთხოვნებს — მიეცათ ხეიმვერელებისათვის ხელმძღვანელი პოსტები ავსტრიის არმიაში, რაც დღემდის შეადგენდა ქრისტიანულ-სოციალური პარტიის მონოპოლიას. წინასწარი ცნობებით დოლფუსმა ხელთ იგდო მთელი სახელმწიფო და აღმასრულებელი ძალაუფლების ხელმძღვანელობა და დაიტოვა სამხედრო, მიწათმოქმედების და უშიშროების მინისტრის პორთფელები. ვიცე-კანცლერად დაინიშნა ხეიმვერის ვენის ორგანიზაციის ბელადი, ყოფილი უშიშროების მინისტრი ფეი. ქრისტიანულ-სოციალური პარტია წარმოდგენილია მთავრობაში სამი მინისტრით, რომლებიც ეკუთვნიან ამ პარტიის უკიდურეს მემარჯვენე ფრთას; ამასთან აღნიშნული მინისტრები ცნობილი არიან როგორც იტალიის ორიენტაციის მომხრეები და მათ კავშირი აქვთ ავსტრიის მონარქისტებთან. ხეიმვერის წარმომადგენლებიდან თავისი თანამდებობა შეინარჩუნა მთავრობაში მხოლოდ სახელმწიფო მდივამა (ადს).

## უმუშევართა მდგომარეობა უარესდება

### სუბსიდიები მრეწველებს

**ბერლინი**, 21 სექტემბერი. მუნიციპალური და საზოგადოებრივი ფინანსების „გაჯანსაღების“ მიზნით, გამოიცა კანონი, რომლის თანახმად უმუშევრობის გამო დაზღვევის სექტემბრიდან გამორიცხული არიან ყველა სასოფლო-სამეურნეო, ტყის და ბაღის მუშები, თევზის საჭერი საწარმოების მუშები. უმუშევართათვის ეგრედწოდებულ საკრიზისო დახმარების ხარჯები, რომლებსაც დღემდის ოთხი მეხუთედით ფარავდა სახელმწიფო, ხოლო ერთი მეხუთედით — მუნიციპალიტეტები მთლიანად ეკისრება უმუშევრობისაგან დამზღვევ ორგანოებს. რაც ძალიან გააუარესებს უმუშევართა მდგომარეობას, ისედაც უმნიშვნელო საქველმოქმედო დახმარება საგრძნობლად მცირდება იმის გამო, რომ მთელ გერმანიაში ყოველთვიური მუნიციპალური ხარჯები ამ დახმარებისათვის განსაზღვრულია 26 მილიონი მარკით. ამავე დროს მთავრობამ გამოყო ნახევარი მილიარდი მარკა, რომელიც სუბსიდიის სახით მიეცემათ მრეწველებს კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე შენობების გასაფართოებლად. ამასთან ერთად იგი 4 პროცენტით ამცირებს გადასახადს უძრავ ქონებაზე. საგრძნობლად მცირდება აგრეთვე გადასახადები, რაც სასარგებლოა აგრარიების ინტერესებისათვის (ადს).

## ტერორი კომპარტიის წინააღმდეგ პოლონეთში

### ამხ. რედიკოს მოკვლა

**ვარშავა**, 21 სექტემბერი. მუშათა ყოველკვირეული ჟურნალი „ტიდზენი“ იუწყება, რომ 21 აგვისტოს ღამით ვარშავის მახლობლად მუშათა უბან ვლოხისაკენ მიმავალ გზაზე მოჰკლეს პოლონეთის კომპარტიის ც. კ-ის წევრი ამხ. რედიკო. პოლიციის მიერ გამოქვეყნებული ცნობა ფარავს მოკლულის გვარს და აღნიშნავს, რომ სახის ძალზე დამახინჯების გამო შეუძლებელია მოკლულის გამოცნობა. ოხრანკა ცდილობს ბოროტმოქმედება დასახოს როგორც „მკვლელობა გაძარცვის მიზნით“. აქამდის არ არის გამოქვეყნებული წინასწარი გამოძიების შედეგები, ხოლო ბურჟუაზიულ და სოციალ-ფაშისტურ პრესას ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ამ მხეცური პოლიტიკური მკვლელობის შესახებ. როგორც „ტიდზენი“ გადმოგვცემს, ამხ. რედიკო იყო თავდადებული მებრძოლი მუშათა საქმისათვის და ჭაბუკობიდანვე იბრძოდა პროლეტარიატის რიგებში (ადს).

## პროპაგანდისტთა სამდღიანი რაიონული კურს-კონფერენციების ჩატარების და პროფკოლექტივების გაფორმების შესახებ

### საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნოს 22 სექტემბრის დადგენილება

დაწესდეს პროპაგანდისტთა რაიონული კურს-კონფერენციების ჩატარების შემდეგი წესი:

1. 26 სექტემბერს (პირველი დღე) მოხსენებანი თემაზე: შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების მორიგი ამოცანები და პროპაგანდისტთა როლი.

მომხსენებლებად დაინიშნონ ლენინის რაიკომში — ამხ. კ. ორაგველიძე, სტალინის რაიკომში — კ. დემეტრაძე, „26“ სახელობის რაიკომში — ხ. ელბაქიანი, ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში — დ. აროშიძე.

2. 27 სექტემბერს — (მეორე დღე) მოხსენებანი და პროპაგანდის მეთოდიკის საკითხების განხილვა სკოლების და წრეების ტიპების მიხედვით.

მომხსენებლებად დამტკიცებულ იქნან: ლენინის რაიკომში — ამხ. შ. სიხარულიძე და გ. კვიცარიძე, სტალინის რაიკომში — ამხ. ჭკუასელი და ს. ქუთათელაძე, „26“ სახელობის რაიკომში — ამხ. ბუდილევი და პოლოხოვი, ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში — ამხ. ლუდვიგოვი და ხუციშვილი.

3. 28 სექტემბერს — (მე-3 დღე) პროფკოლექტივების გაფორმება და პროგრამების პირველი თემის დამუშავება სკოლებისა და წრეების ტიპების მიხედვით.

რაიონული პროფკოლექტივების მუდმივ ხელმძღვანელებად დამტკიცებულ იქნან: ლენინის რაიკომში — ამხ. ი. მელაძე ერქომაიშვილი (საქ. უმაღლესი კომუნისტური სას.-სამ. სკოლა). კვიცარიძე, (სახელმწიფო უნივერსიტეტი,) ბრეგვაძე (მარქსიზმ ლენინიზმის ინსტიტუტი), შ. სიხარულიძე (განსახკომი), ჭკუასელი (განსახკომი), შ. გეგენავა (ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), კ. მახარაძე (სტალინის სახელობის ინსტიტუტი), სტალინის რაიკომში — ამხ. რ. მელაძე (საქ. კ. პ; (ბ) ც. კ-ი), ჯანელიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ფაჩულია („კოლექტივიზაციის“ რედაქცია). მელნიკოვი, დ. გვაზავა („კომუნისტი“), თ. სიხარულიძე („მუშა“), დ. დემეტრაძე (მწერალთა კავშირი), „26“ სახელობის რაიკომში — ამხ. ს. შავერდოვა, ს. შახსუვაროვი (ა.-კ. სახ. კომ.-[illegible]), კულმჯანოვი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი), გაჯიევი (ა.-კ. უმაღ. კომ. სას.-სამ. სკოლა), ახმეტოვი ა.-კ. კომ. უმაღ. სას.-სამ. სკოლა), შპერლინგი (ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), ნ. მექვაბიშვილი, ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში — ამხ. ბარიგიანი (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი), ლუდვიგოვი (საქ. კ. პ; (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), ეფიმოვი (ა.-კ. სამხარეო კომიტეტი), ბუტირინი (სტალინის ინსტიტუტი), ხუციშვილი (ტფილისის საღამოს კომუნისტური უნივერსიტეტი), გაბისონია (სტალინის ინსტიტუტი).

4. აძლევს რა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას პროფკოლექტივების მუშაობას პარტსწავლების ამაღლების საქმეში და აღნიშნავს, რა გასულ სასწავლო წელში პროფკოლექტივების მუშაობის ჩაშლას ხელმძღვანელთა მიზეზით, ტფილისის კომიტეტის სამდივნო აფრთხილებს ყველა მობილიზებულ ამხანაგს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა პროფკოლექტივების მუშაობის ჩაშლას ხელმძღვანელთა მიზეზით, დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში.

5. წინადადება მიეცეს ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტს უზრუნველყოს რაიონული პროფკოლექტივები სასწავლო გეგმებით, მეთოდლიტერატურით და სხვ.

6. ტფილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ სამი დღის ვადაში მისცეს სპეციალური მითითება პარტიის საგარეუბნო რაიკომს პროპაგანდისტებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ საგარეუბნო რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი — **წითლიძე**

## მარგანეცი

**ჭიათურა**, 22 სექტემბერი. 20 სექტემბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 3.789 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 3,572 ტონა, გეგმის 94,3 პროც.

უნდა გაერეცხათ 1.990 ტონა, გაირეცხა 1.768 ტონა რაც უდრის გეგმის 88,9 პროცენტს.

წაღვერის სანატორიუმი

## კანალიზაცია ქუთაისში

რიონჰესის მუშაობის [illegible] დაკავშირებით [illegible] მოსდევს ქალაქიდან სიბინძურის მოშორების შეფერხება. ამიტომ საჭირო ხდება გამალებული ტემპებით ქალაქის კანალიზაციის მოწყობა.

ქუთაისის კანალიზაციის პროექტი უკვე შეადგინა საქართველოს კომბინიმშენმა. მთავარ კოლექტორთან ერთად მთელი ქსელის სიგრძე უდრის 99 კილომეტრს. კანალიზაციაში გატარდება მთელი სიბინძურე ქალაქიდან და ქარხნების სადინებლებიდან. კანალიზაცია დაჯდება 9,5 მილიონ მანეთამდე.

მშენებლობა დაიწყება 1934 წ. და დამთავრდება 1935 წელს. კომუნალური განყოფილება ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან იმის შესახებ, რომ მათ მატერიალური მონაწილეობა მიიღონ მშენებლობაში. განზრახულია ადგილობრივი საშენი მასალების ფართოდ გამოყენება (ქვისა, ღორღისა და სხვ.). კანალიზაციისათვის ნავარაუდევია რკინა-ბეტონის მილები. ამიტომ აშენდება დროებითი ქარხანა რკინისა და ბეტონის მილების დასამზადებლად.

## ა.-კ. ქალაქების გამოფენა პარიზში

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ამიერ-კავკასიის საზოგადოებამ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებისაგან მიიღო მადლობა „ამიერ-კავკასიის ქალაქების რეკონსტრუქციის გამოფენის“ ორგანიზაციაში მუშაობისათვის.

სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც მიიღო მოსკოვში ექსპონატები გამოფენისათვის, აღნიშნა, ქ. ბაქოს ექსპონატების მაღალი ღირსება და დიდი მუშაობა ჩატარებული გამოფენის ტფილისისა და ერევნის განყოფილებებს ორგანიზაციისათვის უახლოეს დღეებში გამოფენა გაიგზავნება პარიზში, საიდანაც შემდეგ გადატანილი, იქნება ლონდონსა და ვარშავაში (ადს).

## ქ რ ო ნ ი კ ა

### ამხ. შუშკოვი და ხალათოვი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდნენ საგზაო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები ამხ. შუშკოვი და ხალათოვი.

### პურის ქარხანა სოხუმში

სოხუმში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პურის ქარხნის ასაგებად. გეგმის მიხედვით ქარხანა უნდა ამუშავდეს სექტემბრის ბოლო რიცხვებში. საშენი მასალებით და მუშა-ხელით მშენებლობა მთლიანად უზრუნველყოფილია.

● საქ. ქიმიკოსთა სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებაში (კამოს ქ. 34—36) ამიერ-კავკ. გამოყენებითი ქიმიის აუდიტორიაში 23 სექტემბერს საღამოს 8 საათზე შესდგება პროფ. დ. ხ. ზავრიევის მოხსენება თემაზე: „თაბაშირის თვისებები ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევის საფუძველზე“. შესვლა თავისუფალია.

● **23 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე სახელგამის სახწ. პედსექტორში** (აღმაკომის ქ. 7) მოწვეულია ავტორთა თათბირი, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. გ. გოგუაძე სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ 1934—35 სასწავლო წლისათვის.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**23 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. მელაძესთან** შესდგება თათბირი გაზეთ „კოლექტივიზაცია“-ს შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ვ. გოგეშვილი, ჩახაია (მიწსახკომი), ჩანკვეტაძე (საქ. ტრაქტორცენტრი), კუხალეიშვილი (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), დიდმამიშვილი („სოიუზპეჩატი“), ჭოჭუა („კომუნისტი“), ფაჩულია, ნატროშვილი („კოლექტივიზაცია“), „სოფლმეურნეობის მარაგსაღების“, მომარაგების კომისარიატის და ცეკავშირის პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

—:—

**23 სექტემბერს საღამოს ზუსტად 7 საათზე, ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. სხანდაროვთან** მოწვეულია თათბირი აგროტექსწავლების და პროპაგანდის საკითხზე. ქვემოთ დასახელებული ამხანაგების და ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა: ცინცაძე, ჯორჯიკია, გრიგორიშვილი (საქ. მიწსახკომი), კარპეზ ბერიძე და მეთოდბიუროს წარმომადგენელი (განსახკომი), კუჭავა, სიხარულიძე (ტრაქტორცენტრი), ჩუბინიძე, ოდიშარია („საქ. ჩაი“), მ. ჩუბინიძე, ტოხარია (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), ვოლფენზონი (ლიმონტრესტი), კომახიძე, სუხიტაშვილი (სოფლის მეურნ. სოციალ. რეკონსტრუქციის ინსტიტუტი-, ჯაფარიძე (ზოოვეტერ. ინსტ.), ვარდენგი (ტფ. კომიტეტი), მეტრეველი (კომკავშირის ცეკა), მეგრელიძე (სას.-სამ. მუშ. პროფკ.), ძიძიგური (განათლების მუშაკთა კავშირი), თითბერიძე (სახკინმრეწვი), გვიშიანი (რადიო-ცენტრი), იაკობაშვილი (სახელგამი), ს. ზახაროვი, ზურაბოვი (ამიერ-კავკ. მიწსახკომი), ვ. კანდელაკი, ერქომაიშვილი და ნიკოლაიშვილი (საქ. უმ. სას.-სამ. კომუნისტური სკოლა), საქ. პროფსაბჭოს, სამანქანო სატრაქტორო სადგურების და მოჯამაგირეთა კავშირის, საბჭოთა მეურნეობების სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, გლეხთა სახლის, საშეფო საზოგადოების „შრომას“ წარმომადგენლები, „კოლექტივიზაცია“-ს რედაქციიდან ამხ. მ. ფაჩულია, „პროლეტარიდან“ ამხ. ატრიანი, „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“ და „ტიფლისკი რაბოჩი“-ს წარმომადგენლები.

—:—

**23 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, ტფ. კომიტეტის კულტპროპში ამხ. დემეტრაძესთან** (ოთახი № 34) შესდგება პარტთათბირი ქ. ტფილისის პირველი და მეორე საფეხურის სკოლების პედაგოგებისათვის მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციის საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდენ ამხ. ბუნიატოვა (სტალინის რაიკომი), სიხარულიძე (ლენრაიკომი), ჩილაკოპიანი („26“-ის რაიკომი), გეგენავა (ორჯონიკიძის რაიკომი), პოლოსოვი (ცეკას კულტპროპი), კომკავშირის რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, განათლების მუშაკთა კავშირის რაიკომების თავმჯდომარეები და რაიგანათლების განყოფილებათა გამგეები, ამხ. გოფმანსკი (კომკ. ტფ. კომიტეტი), ამხ. ქაცარავა (განათლების განყოფილება), საქ. პროფსაბჭოს და განათლების მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილებათა გამგეები, მსხვილი სკოლების და რაიონის პარტიულ და კომკავშირის უჯრედების მდივნები და ადგილკომების თავმჯდომარეები.

—:—

**საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპგანყოფილება იუწყება, რომ 23 სექტემბერს საღამოს 8 საათზე,** რაიკომის პარტკაბინეტში (ძერჟინსკის 19) დანიშნულია რაიონული პარტაქტივის სემინარის მორიგი მეცადინეობა (ქართული ჯგუფი). თემა: „ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“. სემინარის მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

**ც. კ-ის კულტპროპში ამხ. ორაგველიძესთან** სასწრაფოდ გამოწვეულია ამხ. ბარონ ბუაჩიძე.

—:—

**ც. კ-ის კულტპროპში ამხ. პაპანდოპულოსთან 23 სექტ.** 2 საათზე უნდა გამოცხადდეს ამხ. ამვროსი გოგუა.

**საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის და ტფ. საბჭოს**
**გაერთიანებული პლენუმის**
**გაგრძელება**
შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე **ამხ. სტალინის სახ. კლუბში**

**სახკინმრეწვის კინო-თეატრები:**

| | |
|---|---|
| ოთერი<br>8 9-20, 10-40. | საზღვარგ. კომ **ბებიას შვილიშვილი**<br>პრ. გარ.—სკვ. № 22. |
| დამკვრელი<br>8-30, 10-30. | მხატვრ. ფილმი **ჯვარი და მაუზერი**<br>პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7. |
| ტემპი<br>7-30, 9-20, 11 | სათავგად. ფილმი **აბრეგ ზაური**<br>პრ. გარ. რუსთ. თეატ. ჩასვლა ლენინგრ. |
| კომინტერნი<br>(დიდუბე) 8-30, 10 | მხატვრული ფილმი **ა ლ ი მ**<br>პრ. გარ —ჟურნალი № 15. |
| ოქტომბერი<br>7, 8-45, 10-30. | ხმ. კომედია **მექანიკური გაქცევა**<br>მთ. როლში იგორ ილინსკი |
| დამკვრელი<br>7-30, 9, 10-30. | სახკინმრეწვის ნაწარმ. **გუშაგალი**<br>პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7 |
| რ. ლიუქსემბურგის<br>7, 8-45, 10-30 | მხ. ფილმი **თავადის ასული მერი**<br>პრ. გარ.—მეცნ. და ტექნიკა № 7. |
| სპარტაკი<br>7-30, 9, 10-30 | სახკინმრ. ნაწარმ. **ორი მონადირე**<br>პრ. გარეშე—ჟურნალი № 23. |
| 26-ის სახელობის<br>(ავლაბარში) | სახკინმრეწვის ნაწარმოები **ბ ე ლ ა**<br>პრ. გარ.—ჟურნალი № 22 |
| მეცნიერება და ტექნიკა<br>[illegible], 9-30 | ფილმი მეთამბაქოების შესახებ<br>**მზის ყვავილი** |
| საბავშვო კინო<br>დილის 12 და 2 საათზე | საბავშვო ფილმი<br>**ცოცხალი ჰალეი-ოკოპი** |

23 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, განათლების სახალხო კომისრის ამხ. ბ ე დ ი ა ს კაბინეტში. მისივე თავმჯდომარეობით მოწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილ

**მწერალთა თათბირი.**

კინემატოგრაფიაში სამუშაოთ მწერლების დაკონტრაქტების შესახებ.

თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

1. ასათიანი ლევან, 2. ბააზოვი გერცელ, 3. ბელიაშვილი აკაკი, 4. გვეტაძე რაჟდენ, 5. დადიანი შალვა, 6. ვაკელი იონა, 7) კლდიაშვილი სერგო, 8. კალაძე კარლო, 9. კაკაბაძე პოლიკარპე, 10. ლორთქიფანიძე კონსტანტ., 11. ლორთქიფანიძე ნიკო, 12. მოსაშვილი ილო, 13. მაშაშვილი ალიო, 14. ნაროუშვილი ფრიდონ, 15. ქიაჩელი ლეო, 16. ქუთათელი ალექსანდრე, 17. ქორქია როდიონ 18 ტაბიძე ტიციანი, 19. ჩიქოვანი სიმონ, 20. ჩხეიძე ბორის, 21. ჩხიკვაძე პანტელეიმონ, 22. შენგელაია დემნა, 23. ლეონიძე გოგლა, 24. ჯავახიშვილი მიხეილი, 25. შანშიაშვილი სანდრო, 26. გაჩეჩილაძე დავით 27. მიწიშვილი ნიკოლოზი, 28. სამსონიძე პეტრე, 29. ფაშალიშვილი სიკო, 30. გრიშაშვილი სოსო.

2—2 ნ. 347 სახკინმრეწვის სამხ. პოლიტ. საბჭო.

**დაიწყო მოწაფეთა მიღება**
**პოლიგრაფიული მრეწველობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში**
**სკოლაში მისაღებად საჭიროა მოწმობები:**

1. განათლების,
2. სოციალური მდგომარეობის,
3. წლოვანების,
3. ჯანმრთელობის და
5. მშობლების საარჩევნო ხმის შესახებ.

სკოლას მოწაფეთათვის აქვს: საერთო საცხოვრებელი, იაფფასიანი სასადილო, სადალაქო, ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო და სხვა.

ყველა მოწაფეებს მიეცემა თვიური ფულადი დახმარება 25 დან 50 მანეთამდე.

განცხადებების მიღება სწარმოებს 8 დან 3 საათამდე ქ. ტფილისში, წერეთლის (ყოფილი განოვის) ქ. № 3.

მეცადინეობა დაიწყება 1 ლ ოქტომბერს

1444 სკოლის დირექცია.

**განსახკომის სამრეწველო-ეკონომიურ და ადმინისტრაციულ კურსებზე**
**გრძელდება 1933/34 სასწავლო წლისათვის მსმენელების მიღება**

1. მოანგარიშე საქმის წარმოების დარგზე, ქართულ და რუსულ სექტორზე (მეცადინეობა განისაზღვრება ერთი აკადემიური წლით).
2. მემანქანეობის,
3. საქმის წარმოების და
4. სტენოგრაფიის დარგზე ქართულ და რუსულ სექტორზე. (მეცადინეობა განისაზღვრება 6 თვით).

**მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. 7 წლედის დამთავრების,
2. სოც. მდგომარეობის,
3. მეტრიკული ამონაწერი და
4. ჯანმრთელობის მოწმობა.

კურსები იმყოფება სამეურნეო ანკარიშზე.

დაწვრილებითი ცნობები გაიცემა დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე კურსების კანცელარიაში, რუსთაველის პრ. № 34.

ნ. 349 2—1 დირექცია.

23 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება **პროფესორ ბარბერის** (ბაქოდან): მოხსენება თემაზე

**„მარქსიზმი და ბუნების მეტყველება“**

შესვლა თავისუფალია

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. დირექცია

10 აგვისტოს წავიდა სახლიდან 15 წლის **კოკი (კონსტანტინე) დავითის-ძე სულაბერიძე,** მას შემდეგ არ დაბრუნებულა. ნიშნები: შავგვრემანი, ტანმაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი, ტუჩმსხვილი. აცვია რაგოჟის თეთრი შარვალი, აპაში—ხალათი, ფეხზე—ბატინკები, თვალები—შავი. თუ ვინმემ რამე იცის ვთხოვ მაცნობოს ტფილისში მეტეხის აღმართი № 3.

1456 დავით სულაბერიძე.

საქ. ქალაქის წარმოების მუშ. პ/კავშირის ც. გ. პრეზიდიუმი და ამავე გამგეობის აპარატში მომუშავენი იუწყებიან საქართვ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის და პ/მგ. მდივნის

**ამხ. ვალოდია ივანეს-ძე ხორბალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 458

დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა. შვილებით: დოცენტი მიხეილ, გიორგი, ნინა, ლიზა, რუსუდანი და ირინე ქმარშვილით იუწყებიან

**კოტე გიორგის-ძე ახმეტელის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 ს. მილიუტინის ქ. № 5, გამოსვენება 24 სექტემბერს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 448

ა.-კ. სახკომსაბჭოს საგარეუბნო ბითახიის მეურნეობის თანამშრომლები: ნადარეიშვილი, უგულავა, გაბელაია, ბჟალავა, ვადაჭკორია. მაყაშვილი, ქურხული მდივანი ვოლფენზონი მწუხარებით იუწყებიან ამავე მეურნეობის თანამშრომლის ვარლამ ფერაძის მამის

**გედევან ივანეს-ძე ფერაძის**

გარდაცვალებას. 447

დამწუხარებულნი ცოლი მარიამი, მშობლები ალექსი, ეკატერინე; ძმები იოსები, ივანე და გიორგი ცოლშვილით იუწყებიან

**სოლომონ ალექსის ძე ნასყიდაშვილის**

გარდაცვალებას. სამოქ პანაშვილი დღეს 6 ს. გამოსვენება 24 სექტემბერს 4 ს. საბჭოს ქ. № 54 კუკიის სასაფლაოზე

სოფიო, გიორგი და საშა საბახტარიშვილები იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს ქ. ფოთში დღის 1 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ დედის და დაუვიწყარ ბებიას

**ელისაბედ (ლისა) საბახტარიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად. 438

დამწუხრებული რძალი ტასო შვილებით: აგრაფინა და ექიმი პოლიკარპე დოლიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

**სეფო ერმილეს-ძე დოლიძე**

დაკრძალვა ს. ამაღლებაში (გურია). გამოსვენება მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან 23 სექტემბერს 6 ს. 452

ნანუშა და ვერა, სევასტი, ალიოშა და ლევან გიორგის-ძე სარჩიმელიები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ბიძის

**ნესტორ გიორგის-ძე გუგუშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 სექტემბერს 5 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 455

ა/კ. რკ. გზ. სამმართველოს ბიურო პარტკოლექტივი და გაერთიანებული ადგილკომი იუწყება საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს პასუხისმგებელ მდივნის

**ამხ. ვლადიმერ ხორბალაძის**

გარდაცვალებას. 453

მიწათმოქმედების საბჭოთა მეურნეობების მუშათა კავშირის რესპუბლიკანური კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება საქ. პროფსაბჭოს პ/მგ. მდივნის

**ამხ. ვლადიმერ ხორბალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 454

რესპუბლიკანური შეფბიურო მწუხარებით იუწყება

**ამხ. ვლადიმერ ხორბალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 459

ტფილისის საქ სადგურის მუშა მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სადგურის ყოფილ თანამშრომლის, ძვირფას ადამიანის

**კოტე გიორგის-ძე ახმეტელაშვილის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 24 სექტ. 5 საათზე, მილიუტინის ქ. № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 439

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე ვერა, შვილები: თინა და ლონდა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**ილო ბეგიაშვილი**

დასაფლავება აგარაკ აბასთუმანში 24 სექტემბერს. ნ. 350

გულმოკლული დედა ტასო, ცოლი ვერა, შვილები თეიმურაზი, თინა, ლონდა; დები სონა, საშა მარიამი, იულა, ნინა; ძმები თედო ვასო ოჯახობით ბეგიაშვილები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ

**ილო ბეგიაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა აბასთუმანში. 451

ტფილისის საორთქმავლო დეპოს მუშამოსამსახურეთა და ინჟ-ტექნ მუშაკთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელის

**ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე ხორბალაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო 46

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ნატალია, შვილები: გიორგი, ვანო, შალიკო კასრაძეები, სიძე სანდრო, ნინო შაყულაშვილები მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მამის

**დავით კასრაძის**

უდროოთ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 23 სექტემბერს ს. კვათისხევში 446

დამწუხრებული ბებია თამაშა, დეიდები კალმანე, მარო და კატუშა კვირკველიები ცხარე ცრემლებით დასტირიან ერთად-ერთ ნუგეშს პატარა

**ზაზუნიას**

4 3

გულდამწვარი დედა ნადია მეუღლე ანეტა შვილი მედიკო და გულგული ძმები: იპოლიტე. იოსები ბერიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ

**დავით სიმონის-ძე ბერიშვილის**

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 24 სექტემბერს სურამში დილით. 449

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება საქ. პროფსაბჭოს პ/მგებელ მდივნის

**ამხ. ვალოდია ხორბალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება პლეხანოვის სახ. კლუბიდან (ნაძალადევი) 23 სექტემბერს. 4 საათზე. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 450

ახლობელი ამხანაგები: შალვა კანდელაკი სანდრო კაჭარავა, ილიკო კვაჭანტირაძე, დომენტი კანდელაკი, ვალიკო ბოკუჩავა, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვლადიმერ ბრიუნი იუწყებიან საქართველოს პროფსაბჭოს პ/მგებელ მდივნის

**ამხ. ვლადიმერ ხორბალაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 445

დამწუხრებულნი: მეუღლე კოლია, შვილი ციალა, მშობლები: მარიამ, გიორგი. ძმა ვლადიმერი იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ

**თამარა მგალობლიშვილი-ხონელიძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. 44

გულდამწვარი მეუღლე სოხია დედა ანეტა ძმები: კოლია, გრამიტო, რძლები: ლუბა ნადია, ძმისწულები, დაი ვასასი, სიძე პლატონ ცინცაძე იუწყებიან

ექიმ **გაბო სიმონის-ძე ჟორბენაძის**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ლანჩხუთში 26 სექტემბერს. 442

გაუბედურებული მშობლები: დედა ანეტა რაჟდენის ასული ვადაჭკორია-სტეპენისა, მამა ვიაჩესლავ სტეპენ აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 სექტემბერს. საღამოს 5 ს ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი შვილის

პატარა **ნოდარიკოს**

ხსოვნის აღსანიშნავად. 440

უნუგეშო მშობლები: ელენე კვირკელია და ვანო ძინძიბაძე უსაზღვრო მწუხარებით დასტირიან საყვარელ შვილის

**ზ ა ზ ა ს**

დაკარგვას. დაკრძალვა 23 სექტემბერს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან საბჭოს ქ. № 100 4 საათზე 44

უახლოესი მეგობრები: ქ. ფალავა, ვ. კახიანი, ს გოჩიაშვილი. თ. დოლიძე ლ. ქორქოლიანი, ქ. დოლიძე ი. ჟორჟაძე, თ. ხომერიკი, ვ. ხიჩუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ვანო ძინძიბაძის და ელენე კვირკელიას უძვირფასესი შვილის

პატარა **ზ ა ზ ა ს**

უდროოდ დაკარგვას. 435

სტამბა „კომუნისტი“. ჟამბ ქ. 68.